საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 11 (814) · სამშაბათი, 18 იანვარი, 1994 წელი · ფასი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სვეტი

საქართველოს პარლამენტში

გუშინ, 17 იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის სხდომა, რომელზეც განიხილეს პარლამენტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, საპარლამენტო უმცირესობასთან კონსტრუქციული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

გუშინ, 17 იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. კოლეგიამ განიხილა პარლამენტის დღევანდელი სესიის დღის წესრიგი.

• • •

ვიზიტის მოსამზადებლად

მოსკოვი, 17 იანვარი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). სამშაბათს ნაშუადღევს რუსეთის დედაქალაქში სამდღიან სამუშაო ვიზიტად ჩადის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია. როგორც აცნობს იტარ-საკდესის კორესპონდენტს საქართველოს საელჩოს ინფორმირებულმა წყაროებმა, ქართველი პრემიერის ვიზიტის მთავარი მიზანია დამთავრდეს რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის და თანამშრომლობის ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების მომზადება.

როგორც მოელიან, ამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ თბილისში ბორის ელცინის ვიზიტის დროს, რომელიც 3-4 თებერვლისათვის არის დაგეგმილი.

ზემოაღნიშნული წყაროს ცნობებით, ხელშეკრულების საბოლოო დეტალები შეთანხმებული იქნება ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ვიქტორ ჩერნომირდინთან ოთარ ფაცაციას შეხვედრის დროს.

• • •

ალექსანდრე ჩიკვაიძე პარიზს გაფრინდა

როგორც აცნობს საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის მომზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, პარიზს გაფრინდა.

• • •

დებიუტი თურქულ სცენაზე

რობერტ სტურუა გაფრინდა თურქეთში სტამბოლელ კოლეგათა მიწვევით, სადაც დადგამს სოფოკლე-ბრეხტის „ანტიგონეს". თურქეთი სტურუა — დამდგმელის ინდივიდუალურ თეატრალურ რუკაზე კიდევ ერთი წერტილია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სცენებზე კლასიკისა და თანამედროვე დრამატურგიის ბრწყინვალე ინტერპრეტაცია.

„ანტიგონეს" თურქული პრემიერა გაიმართება მარტის შუა რიცხვებში.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: დღეს ჩვენი პოლიტიკური კულტურა იმ დონეზეა, რომ განსხვავებული აზრისათვის აუცილებლად ცხვირ-პირი უნდა დავამტვრიოთ ერთმანეთს. ეს, სამწუხაროდ, წესად იქცა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ გასულ კვირას საქართველოს ოფიციალური დელეგაციის თურქეთში ვიზიტის უმთავრესი შედეგების შეჯამებით დაიწყო.

— შედეგები — პოლიტიკურიცა და ეკონომიკურიც საკმაოდ შთამბეჭდავია. ბევრი კონტრაქტი, ხელშეკრულება, გაფორმებულია, ბევრს მოვაწერეთ ხელი. დადებითად წყდება კრედიტების საკითხი, დაისახა სხვა პერსპექტივები. მათ შორის, თანამშრომლობისა, კულტურისა და მეცნიერების დარგში. ერთ-ერთი მთავარი შედეგი — ეს არის ჩვენი კარგი ურთიერთგაგება იმ პროცესების თვალსაზრისით, რომელიც ახლა მიმდინარეობს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და, უფრო ფართო მასშტაბითაც — ევროპასა და მსოფლიოში. ამ მხრივ ვიზიტი, უდავოდ, წარმატებული იყო.

კომენტატორ ნატო ონიანის კითხვას, თუ როგორ დაძლია თურქეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მიაღწია წარმატებებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, დემოკრატიის განვითარებაში, და რამდენად არის მზად საქართველო გაიზიაროს ეს გამოცდილება, სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა:

— ამ წარმატებებს თურქეთმა მიაღწია მოთმინებით, ჭეშმარიტად ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების უმაღლეს მიზნად გამოცხადებით და იმით, რომ დასახა ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრირების გზა. მათ თავიდანვე უარი თქვეს კარჩაკეტილობასა და იზოლაციის იმ პოლიტიკაზე, რომელმაც საქართველო ასეთ ჩიხში შეიყვანა. თურქეთი სულ სხვა კურსს დაადგა და ამ კურსმა მას საოცარი წარმატება მოუტანა, რომელსაც შეიძლება მართლაც სასწაული ეწოდოს.

თურქეთის საქმიან წრეებთან უნიკალური და საინტერესო დიალოგის დროს, ჩვენ ვნახეთ 20-წუთიანი ფილმი, თუ რა არის ეს სასწაული. ბოლო 20 წლის განმავლობაში თურქებმა მოსინჯეს მმართველობის ყველა ფორმა, იყო სამხედრო დიქტატურაც, ყველაზე უკეთესი მაინც მართვადი დემოკრატია აღმოჩნდა. იქ არის საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია, პოლიტიკური პლურალიზმი, მაგრამ; არის მთავარი, რომელიც ყველგან იგრძნობა: ხალხის ნება-სურვილი, განწყობა, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლებსაც პარტიული ინტერესები ძირს არ უთხრიან.

აი, თუ კი რამ უნდა ვისწავლოთ, და ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ვფიქრობ ის არის, რომ საქართველოში დავამკვიდროთ ასეთი დამოკიდებულება.

— ბატონმა დემირელმა ქართველ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთსა, და საქართველოს მრავალი საერთო ინტერესი აქვთ, თუნდაც ის, რომ თურქეთში ცხოვრობს ბევრი ქართველი. თქვენ გქონდათ რამდენიმე შეხვედრა, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ბატონ შახინთან და სხვებთან. რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის, როგორც სახელმწიფოს მეთაურისათვის ამჟამად მათთან შეხვედრა?

— იქაური ქართველები, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის — თურქეთის ღირსეული მოქალაქეები არიან, როგორც ბატონმა დემირელმა თქვა, ამიტომაც აფასებენ, ენდობიან და პატივს სცემენ მათ პატიოსნებისა და სახელმწიფოს ერთგულებისათვის. ასეთი როლით ისინი საქართველოსაც დიდ სამსახურს უწევენ და თურქეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის ხიდის როლსაც ასრულებენ.

— თურქეთში თქვენ წამოაყენეთ თანამეგობრობათა თანამეგობრობის იდეა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა პლუს შავი ზღვის ქვეყნების ალიანსი, პლუს ევროგაერთიანება. რა არის ეს, ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება თუ საქართველოსათვის, და არა მარტო მისთვის, თავდაცვის კიდევ ერთი მექანიზმი?

— ეს ის არის, რასაც მე დავარქმევდი ობიექტურ პროცესებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს. ცალკეული ქვეყნები, მათ შორის გიგანტური ქვეყნებიც კი ვერ გადაწყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. ინტეგრაცია კი ამ ეპოქის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი მოვლენაა. ამ საერთო, დიდი პროცესის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია ინტეგრაციის ისეთი ფორმა, როგორიც არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მაგრამ არანაკლებ ანგარიშგასაწევია ის, რაც ხდება სამხრეთში, ანუ შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური ალიანსის ფარგლებში, რომელიც ახლა იდგამს ფეხს და იწყებს რეალურ ფუნქციონირებას, კიდევ უფრო ანგარიშგასაწევია ის, რაც ევროპაში მოხდა, მთელი 30 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ევროგაერთიანების ფორმირება და მან მაღალ დონეს, გარკვეულ მაღალ სტანდარტებს მიაღწია.

როცა ამ თანამეგობრობათა თანამეგობრობაზე ვლაპარაკობდით, მხედველობაში მქონდა, რომ ეს რომელიმე გაერთიანება, თანამეგობრობა ვინმეს წინააღმდეგი კი არ არის, არამედ ინტეგრაციის საერთო პროცესების შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. ეს არის გზა, მიმავალი ერთიანი უსაფრთხოების, ეკონომიკურ თუ სამხედრო უსაფრთხოების სივრცეებისაკენ, რომლებიც, შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის, ევრაზიის მასშტაბით და, ბოლოს და ბოლოს, მთელი პლანეტის მასშტაბით, თანამეგობრობათა თანამეგობრობა ერთიანი უსაფრთხოების სივრცისაკენ მიმავალი გზა გახლავთ.

ბევრი აზრი და იდეა, რომელიც გამოითქვა ჩვენს მიერ და თურქეთის ხელმძღვანელობის მიერ, ენათესავება ერთმანეთს. თანამეგობრობათა თანამეგობრობა ძლიერ ეხმიანება ნატოს ბოლო ინიციატივებს, კლინტონის გამოსვლას „პარტნიორობა მშვიდობისათვის". მე ამას მივიჩნევ ერთიან კომპლექსად მიმავალს ერთიანი სივრცისაკენ.

— თურქეთის ხელმძღვანელობა მოწონებით შეხვდა თქვენს წინადადებას, რომ ალიანსის ქვეყნების პრეზიდენტთა შეხვედრა თბილისში გაიმართოს. აქედან გამომდინარე, თქვენ გჯერათ, რომ თბილისსა და საქართველოში წესრიგი დამყარდება. ბიზნესმენებთან შეხვედრაზე საუბარი იყო ტრასებზე წესრიგის დამყარების შესახებ. წესრიგის დამყარება იყო მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის ძირითადი თემაც, ვრცელდება ისეთი ხმები, რომ ხელისუფლებისა და მთავრობის საკმაოდ მაღალი ეშელონებიდან ხდება პოლიციაზე ზეგავლენა და რომ ეს ღონისძიებები სადღაც შუა გზაზე შეჩერდება და აღარ გაგრძელდება...

— საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თბილისის კონფერენციაზე განვაცხადე, რომ ვინც ხალხის ნებას წინ აღუდგება, რა რანგის მოღვაწეც უნდა იყოს, იგი თავის ადგილზე ვერ დარჩება. წესრიგი ყოველმიზეზგარეშე დამყარდება, შუა გზაზე არ შევჩერდებით, ეს შეუძლებელია. ქვეყნის გაჯანსაღებისათვის, ატმოსფეროს გასუფთავებისათვის მოძრაობა არ შეჩერდება. რომ შეჩერდეს, ხალხის ნება წალეკავს ყველას და ყველაფერს, რაც ხელს შეუშლის ამ დასახული მიზნის განხორციელებას.

მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის შესახებ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ამაყობს იმ ახალგაზრდებით, რომლებიც შედიან მოქალაქეთა კავშირში და რომლებმაც გადაწყვიტეს თანამზავრული ახალგაზრდული ორგანიზაცია შექმნან.

— იგი ორიენტირებული იქნება მოქალაქეთა კავშირის პრინციპებზე, უფრო მეტსაც ვიტყოდი, ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, მოქალაქეთა კავშირი არის ორგანიზაცია ახალგაზრდობისათვის. ეს ინიციატივა ჩვენი კავშირის გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე წამოაყენეს ახალგაზრდებმა და ჩვენ ყველამ აქტიურად დავუჭირეთ მხარი. მოდის ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელიც უდავოდ, დაგვამშვენებს, გაგვამდიდრებს. ისინი დამწიფდებიან, გაიზრდებიან და ჩაიბარებენ ხვალინდელ საქართველოს.

— კონფერენციაზე აღნიშნეთ, რომ რუსეთის შემობრუნების პროცესი დაიწყო. თქვით, რომ გადავწყვეტთ აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების საკითხს. ჟენევის მოლაპარაკების შესახებ ინფორმაცია გვაქვს. ნატოს შეხვედრაზე, სადაც ამერიკელებმა სამშვიდობო ინიციატივა წამოაყენეს, ბრიუსელის დეკლარაციაში ჩაიწერა პუნქტი კავკასიის საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. უახლოეს მომავალში პრეზიდენტი ელცინი უნდა ჩამობრძანდეს საქართველოში. ამ მოვლენებიდან გამომდინარე რამდენად ხელსაყრელი პირობებია დღეს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისთვის და როგორი იქნება ამ პროცესში რუსეთის მონაწილეობა?

— აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, როგორიც უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ეტაპზე რუსეთის ნეგატიური როლი, სულ ერთია. დღეს ეს იმდენად ხელშესახები რეალობაა, რომ ეს რომ კაცმა არ დაინახოს, ბრმა უნდა იყოს. რუსეთის მონაწილეობა სამშვიდობო ინიციატივებში გადამწყვეტია, რა თქმა უნდა, გაეროსთან ერთად, მისი ეგიდით და არა გაეროს საპირისპიროდ.

ვიღაცეები ცდილობენ, რომ როგორმე დაუპირისპირონ ისინი ერთმანეთს და აღმოაჩინონ რაღაც წინააღმდეგობა. არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა. ჩვენ გვჭირდება რუსეთის რეალური ინტერესების გათვალისწინებაც, როცა ვლაპარაკობთ საქართველოს ინტერესების დაცვაზე აფხაზეთში და არა მარტო აფხაზეთში. თუ ჩვენ ასე კარგად გავუგებთ ერთმანეთს, და, ვფიქრობ, უნდა კარგად გავუგოთ, ერთმანეთის ინტერესებს გავითვალისწინებთ, მაშინ მჯერა, რომ აფხაზეთის პრობლემა ჩქარა გადაიჭრება. ლტოლვილები რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდებიან თავიანთ სახლ-კარს. ვიმეორებ: თუ გვინდა, რომ რუსეთს ჩვენი ესმოდეს, ჩვენც უნდა გავუგოთ რუსეთს, მისი ტკივილებიც, მისი სირთულეებიც და წინააღმდეგობებიც უნდა გვესმოდეს. ვფიქრობ, რომ ურთიერთგაგების, ჭეშმარიტად კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მშენებლობის. ეს პროცესი ამჟამად ნორმალურად მიმდინარეობს.

რაც შეეხება ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს ჩვენი ორი ქვეყნის ცხოვრებაში, პრეზიდენტ ელცინის მოსალოდნელ ვიზიტს, ჯერჯერობით თარიღზე ლაპარაკი ნაადრევია. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი მოვლენა იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოქალაქენი ამას მიესალმებიან. თბილისის მოქალაქეთა კავშირის კონფერენციაზე დავსვი ასეთი შეკითხვა და ყველამ ერთხმად გამოხატა თავისი გრძნობა და დამოკიდებულება — უნდა მივიღოთ როგორც ღირსეული სტუმარი, დიდი მეზობელი სახელმწიფოს წარმომადგენელი, დიდი ქვეყნის პრეზიდენტი.

პრეზიდენტი ელცინი საქართველოს სასურველი სტუმარი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ — ქართველებმა ეს კარგად იციან, მაგრამ, ვინც არ იცის, გაიგოს მისი როლის გათვალისწინება აუცილებელია იმპერიის დემონტაჟში. ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და თვალსაჩინო ფიგურა იყო ელცინი, რომელმაც გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა, განსაკუთრებით აგვისტოს პუტჩის შემდეგ, როცა მან აიღო კურსი, რომ დაშლილიყო იმპერია და ამ იმპერიის ნანგრევებზე აშენებულიყო ეს ახალი ფორმა ურთიერთობისა და თანამშრომლობისა, რომელსაც ახლა თანამეგობრობას ვუწოდებთ. ამ როლის გარეშე, ელცინზე ლაპარაკი, ალბათ, რთული იქნება და ეს არის უდავოდ ისტორიული როლი, რომელიც მან შეასრულა.

ბევრ თბილისელს ახსოვს 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ბატონი ელცინი ოპოზიციაში იდგა და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თბილისში ჩამოვიდა და თბილისელებს თავისი თანაგრძნობა გაუზიარა. ესეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

17 იანვრის რადიოინტერვიუ

როცა დეპუტატთა საკავშირო ყრილობაზე სამხედრო პროკურორმა კატუსევმა ბრალი დასდო საქართველოს და მის მიმართ ბრალმდებლის როლში გამოვიდა, როგორც კი დაიწყო ამ ბრალდებების წამოყენება, ელცინი პირველი იყო, რომელმაც პროტესტის ნიშნად დატოვა ყრილობის დარბაზი და რამდენიმე ასეული დეპუტატი ასევე პროტესტის ნიშნად თან გაიყოლა: მას ყოველთვის ვთვლიდი საქართველოს მეგობრად, და მინდა, რომ ახლაც ქართველმა ხალხმა იგი მიიღოს როგორც ჩვენი ხალხის დიდი მეზობელი და მეგობარი.

კლინტონისა და ელცინის ბოლო შეხვედრის თაობაზე, ბრიუსელში ნატოს შეკრებაზე გამოთქმული ამერიკის პრეზიდენტის ახალ ინიციატივაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, თქვა:

— კლინტონ-ელცინის შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ცივი ომის დამთავრების შემდეგ ახალი მსოფლიო სტრატეგიის ფორმირებაში, ისევე როგორც ნატოს შეხვედრა. ეს სულაც არ არის საპირისპირო მოვლენები, როგორც ზოგიერთი ხსნის, რომ თუ ნატო გაძლიერდება და მისი გავლენა გაფართოვდება, რუსეთი აუცილებლად დაიღუპება. პირიქით, საქმე წავა ერთიანი სტრატეგიული სივრცის, უსაფრთხოების ერთიანი ფორმირების შექმნისაკენ.

მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო ბეჯითად უნდა ვიაროთ ახალი მსოფლიო სტრატეგიის, უსაფრთხოების ახალი სივრცის გარანტიების შექმნისაკენ და ეს ერთ-ერთი ნაბიჯი იყო. დარწმუნებული ვარ, თუ ასე ბეჯითად ვივლით, ყველა კონფლიქტს მოევლება, ვფიქრობ, რომ ის გამოცდილება, რომელიც ახლა გროვდება გაეროში, თუნდაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითზე, კარგი პრეცედენტი იქნება იმისა, თუ როგორ შეიძლება შეერთდეს გაერო, ევროგაერთიანება და ცალკეული დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი და სხვა. ლოკალური კონფლიქტების მოგვარებისა და გადაჭრისათვის ისე, რომ მათ გავრცელების საშუალება არ მიეცეთ. საერთო სივრცის ფორმირების პროცესში მოხდება ამ კონფლიქტების მოგვარებაცა და მოწესრიგებაც.

როცა თურქეთიდან გამომგზავრებისას პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ აფხაზეთი იქნება ერთგვარი სახინჯი ქვა გაეროსა და რუსეთისათვის, მხედველობაში მქონდა, რომ თავისი მასშტაბით ეს ისეთი კონფლიქტი არ არის, რომელსაც დიდი სახელმწიფოები და გაერო ერთად ვერ მოერიონ, ვერ შეძლონ ამის მოგვარება. ამავე დროს პოტენციურად ეს ძალიან საშიში კონფლიქტია. ამიტომ მისი მოგვარება იქნება კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოკლე დროში გადაწყდეს კონფლიქტის მოგვარების საკითხი გაერთიანებული ძალისხმევით, დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევით.

— გუშინ საქართველოს ტელევიზიით ითქვა, რომ გამოვლინდნენ გარკვეული პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ფულად-საკრედიტო დარღვევებში. ითქვა, რომ უსაქონლო ოპერაციის ფუძემდებელი საქართველოში არის „კავკასიის ბირჟა". ამ ორგანიზაციის ლიდერი დღეს საქართველოს ვიცე-პრემიერია...

— ვიდრე გამოძიება არ დამთავრდება, არ ვარ დასკვნების გამოტანის მომხრე. რაც შეეხება ასეთი დასკვნის გამოტანას, რომ ძირითადი დამნაშავე ბირჟაა და ამის გამო მოხდა ყველაფერი, ნაადრევად და ნაჩქარევად მიმაჩნია. ვფიქრობ, რომ უნდა ჩატარდეს მასშტაბური გამოძიება, აღძრულია 12 საქმე, შეიძლება 132 იყოს, შეიძლება მეტი ან ნაკლები. საქმის აღძვრა და გამოძიების დაწყება სულაც არ ნიშნავს ბრალეულობის განსაზღვრას. ეს რთული საკითხია და რთული ეტაპები უნდა გაიაროს — გამოძიების პროცესი, შემდეგ პროკურატურაში უნდა ჩაიხინჯოს ყველაფერი, დამტკიცდეს საბრალდებო დასკვნა, მერე სასამართლო. ასე რომ, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. გამოძიებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. გააკეთოს ის, რა დავალებაც სახელმწიფოს მეთაურისაგან მიიღო. მიმაჩნია, რომ ყველაფერი გაირკვევა, მათ შორის, წინა მთავრობის როლიც, რომელმაც პარლამენტსა და სახელმწიფოს მეთაურსაც, გარკვეული აზრით, თავს მოახვია კუპონის ნაადრევად შემოღება. რუსეთთან საერთო ენის გამოძებნის ნაცვლად, ჩვენ მაშინ ვიჩქარეთ და შემოვიღეთ ეგრეთ წოდებული ეროვნული ვალუტა, უფრო სწორად, გარდამავალი ეტაპი ეროვნული ვალუტისა. კუპონი, როგორი ძნელი სათქმელიც უნდა იყოს ეს, უნდა გაუფასურებულიყო და გაუფასურდა კიდეც. არ მინდა წინასწარმეტყველის როლში გამოვიდე, მაგრამ, მაშინაც, როცა პარლამენტის პირველი სხდომები მიმდინარეობდა, არ დამიმალავს და ვთქვი, რომ გაუფასურებას ვერ ავცდებით-მეთქი. სწორედ ამიტომ ვამბობდი, რომ ეს არის იძულებითი ნაბიჯი და არა კანონზომიერი. რადგან კანონზომიერი გზა ეროვნული ვალუტისაკენ ცოტა სხვა გზაა, ის გზაა, რომელიც სხვა ქვეყნებმა აირჩიეს. მათ შორის ჩვენმა მეზობლებმა — ორი ვალუტის პარალელური არსებობა — ასე შედარებით უფრო უმტკივნეულოდ შეიძლება გადასვლა ახალ თვისებრიობაზე.

კუპონზე ბევრი რამ უნდა ითქვას და საერთოდ პრობლემატურია საკითხი — გადავარჩენთ თუ ვერ გადავარჩენთ მას. რადგან გადადგით ეს ნაბიჯი, რადგან მაშინდელმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და პარლამენტმა მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ იგი გადავარჩინოთ, მაგრამ არა იმ გზით, რომელსაც ახლა გვთავაზობენ. ტელეგადაცემებიდან ხშირად გაიგონებთ — აიკრძალოს ყველაფრის გაყიდვა მანეთზე ან დოლარზე. ყოველგვარი აკრძალვა იქამდე მიგვიყვანს, რომ საერთოდ არ შემოვა პროდუქტი. ამიტომ აკრძალვის გზა სულაც არ არის კუპონის განმტკიცების გზა. ჩვენ შევცდით, როცა პარლამენტში ვაღიარეთ, რომ იგი არის ანგარიშსწორების ერთადერთი საშუალება. ასე ძალით არ შეიძლება განმტკიცდეს ეროვნული ვალუტის კურსი. ამიტომ სხვა გზები უნდა ვეძებოთ. ამაზე დღეს ფიქრობს ხელისუფლება.

— რამდენად სასარგებლოა დღეს საქართველოსათვის სამანეთო ზონაში შესვლა?

— გადაწყვეტილება სამანეთო ზონაში შესვლის შესახებ არ არის მომწიფებული. სწორია, რომ ლაპარაკი და დისკუსია დაიწყო. ვახტანგ გოგუაძე მართალია, ეს საკითხი რომ წამოჭრა და განხილვის საგნად აქცია, და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს ან ხვალ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება სამანეთო ზონაში შესვლის შესახებ. მე ვთქვი, რომ ზონიდან გამოსვლა ნაჩქარევი, ნაადრევი, მოუმზადებელი იყო, ისევე, როგორც არ არის მომწიფებული საკითხი ზონაში შესასვლელად. ეს პრობლემა სპეციალისტებს ღრმად და მეცნიერულად არა აქვთ შესწავლილი.

გუშინ მივაქციე ყურადღება, რომ ქუჩაში მიმდინარეობდა გამოკითხვა. შესანიშნავი პასუხი გასცეს მოქალაქეებმა: დაუძახეთ სპეციალისტებს და გვითხრან, რა არის ეს სამანეთო ზონა, რას მოგვიტანს, რას მოვიგებთ და რას წავაგებთ. ხალხი სავსებით მართალია: ჩვენ ამას ვერ ვეუბნებით, იმიტომ, რომ ეს საკითხი არ არის ყოველმხრივ შესწავლილი.

ვიმეორებ, კარგია და სწორი, რომ ვახტანგ გოგუაძემ წამოჭრა ეს საკითხი. იგი უნდა შევისწავლოთ როგორც მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი ვარიანტი და არა ერთადერთი გამოსავალი. ჩვენ სხვა გზებიც უნდა ვეძებოთ და არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება კიდევაც გამოიძებნოს უფრო ეფექტური გზა. ახლა, როცა სამინლად ლანძღავენ ვ. გოგუაძეს და ლამის ანტიქრისტედაც აცხადებენ, — როგორ გაბედა ასეთი რამის თქმაო, არავინ კითხულობს, მიგიღებს კი რუსეთი იმ სამანეთო ზონაში? მე უაღრესად პრობლემატურად მიმაჩნია გაიდარის გუშინდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი არ ეთანხმება ბელარუსის შესვლას სამანეთო ზონაში. განა რუსეთმა არ იცის, რომ მისთვის დამატებითი ტვირთი და ხარჯი იქნება ისეთი გაჭირვებული ქვეყნის შესვლა, როგორიც საქართველოა?! ამიტომ სწორი არ იქნება, არაფერი ვკითხოთ მას ამის შესახებ და ჩვენ კი ერთმანეთს შევაკვდეთ ამ დავასა და კამათში სამანეთო ზონაში შესვლის გამო.

ჩვენი პოლიტიკური კულტურა იმ დონეზეა, რომ განსხვავებული აზრისათვის აუცილებლად ცხვირ-პირი უნდა დავამტვრიოთ ერთმანეთს, ეს, სამწუხაროდ, წესად იქცა.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ოქროს მარაგის შესახებ. არ ვიცი, რამდენ კილოგრამზეა ლაპარაკი. ეს დაახლოებით ცრემლის წონას ნიშნავს ჩვენს პრობლემებთან შედარებით. ამ ოქროს მარაგით შეიძლება ცოტათი ამოვისუნთქოთ, ჩვენი ოქროს მარაგი დიდი არ არის. მეტი რომ გვქონდეს, სხვა ქვეყანა და სხვა სახელმწიფო ვქნებოდით, და მაშინ, ალბათ, კუპონსაც სხვა წონა ექნებოდა.

როდის გამოვთქვამ ჩემს აზრს სამანეთო ზონის, კუპონის, ლარისა თუ სხვათა შესახებ? ამ აზრს გამოვთქვამ პარიზში ჩემი ვიზიტის შემდეგ იმის გათვალისწინებით, თუ რა სიკეთეს გვპირდება ახლახან მიღებული განვითარებადი ქვეყნის სტატუსი — პარიზში კონტაქტები მექნება იმ ხელმძღვანელებთან და გენერალურ დირექტორატთან, რომლებმაც ეს საქმე ძალიან კარგად იციან და შეუძლიათ რეალურად მითხრან, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის ეკონომიკურად, ფინანსურად და ა. შ. მე შევძლებ უფრო გაბედულად ვუპასუხო ამ კითხვას, როცა ვაშინგტონში შევხვდები მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას. იქნება სპეციალური გამოძიება ჩავატარო და აღმოვაჩინო ის 200 მილიონი, რომელზეც სიგუამ თქვა, შევარდნაძემ დამალაო. არ ვიცი, სად არის დამალული. თუკი კოლუმბი ეძებდა ამერიკას ამ შორ გზაზე, მეც გავემგზავრები 200 მილიონის საძებნელად და იქნებ კიდეც აღმოვაჩინო. ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს. როცა ყველაფერი დამთავრდება, მაშინ შეიძლება უფრო გამოკვეთილად ვთქვა, რა ეშველება კუპონს და რა გზები არსებობს მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

ამ კვირაში საფრანგეთში მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— საფრანგეთში დიდი იმედებით მივდივარ, და არა იმიტომ, რომ იქიდან ჩემოდნებით ჩამოვიტანო დოლარები და ფრანკები. შეიძლება ამ მხრივაც იყოს რაიმე საინტერესო. საფრანგეთი ტრადიციულად საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. განსაკუთრებით ეს ახლა არის საგრძნობი, როცა აფხაზეთის პრობლემა ასე მწვავედ დგას. საფრანგეთი იმ ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია, რომელსაც საქართველოს მეგობართა ჯგუფი ჰქვია და, რომელიც გაეროსთან ერთად იღვწის აფხაზეთში მშვიდობის დამყარებისა და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ესე იგი ლტოლვილების დაბრუნების, აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენისათვის და სხვ. ასეთი დიდი ავტორიტეტის მქონე ქვეყანასთან არ ჰქონდეს სამართლებრივი ბაზა ახალგაზრდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ ქვეყანას, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მომზადებულია შესანიშნავი ხელშეკრულება ორი ქვეყნის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შესახებ, რომელსაც ხელი უნდა მოვაწეროთ პრეზიდენტმა მიტერანმა და მე. და ამის შემდეგ დაიწყება ორი ქვეყნის ინტენსიური ურთიერთობა.

საფრანგეთში ჩვენ უნდა შევუერთდეთ პარიზის ქარტიას. იმ პირველ დოკუმენტს, რომელიც ცივი ომის დამთავრების შემდეგ არეგულირებს ურთიერთობას ევროპაში და არა მარტო ევროპაში. მას შეუერთდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, და ეს ქარტია მთელმა მსოფლიომ აღიარა.

რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველი შეხვედრას ჩვენი დროის ერთ-ერთ გამოჩენილ პოლიტიკოსთან — პრეზიდენტ მიტერანთან. პარიზში ბევრი სხვა საინტერესო და საქმიანი შეხვედრები მელის, მათ შორის იუნესკოსთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ურთიერთობა პარტიებთან, მთავრობის ხელმძღვანელებთან და სხვ.

ჩემი აზრით, პარიზთან დაახლოების ის პროცესი, რომელიც ახლა იწყება და საფუძველს უქმნის ჩვენს ახალ ურთიერთობას, უდავოდ დაგვეხმარება კრიზისიდან სწრაფად გამოსვლაში. ამ იმედებით მივემგზავრები პარიზს.

ნომერში

⊙ სულეიმან დემირელი: ყველამ უნდა გაიგოს მისი ფასი. 2

⊙ ქართული თეატრის ენერგიამ ბათუმში გაიღვიძა. 4

ბორის ელცინი თბილისში თებერვლის დამდეგს ჩამოვა

17 იანვარს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ტელეფონით ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. რუსეთის პრეზიდენტმა, რომელმაც თბილისში დარეკა, განაცხადა, რომ აპირებდა ოფიციალურ ვიზიტად სწვეოდა საქართველოს ამა წლის იანვრის მესამე დეკადაში. მაგრამ, რადგან ესმის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს არა მარტო საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო გაერთიანებისთვისაც, იგი ვარაუდობს გადაიტანოს თავისი ვიზიტის ვადა თებერვლის დამდეგისათვის. მორიგების თანახმად, ბორის ელცინის ვიზიტამდე გაიმართება რუსეთისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრების შეხვედრა.

ედუარდ შევარდნაძე საფრანგეთში თავისი მომავალი ვიზიტის მიზნების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა რუსეთის ტელევიზიას, რომელიც, კერძოდ, შეეხო საფრანგეთში თავისი ოფიციალური ვიზიტის მიზნებს. ვიზიტი იანვრის მესამე დეკადაში გაიმართება.

ეს ვიზიტი, თქვა მან, მიგვაჩნია საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების მშენებლობის განგრძობად. ბევრ მათგანთან უკვე მოგვარებულია და ინტენსიურად ვითარდება სულ სხვადასხვაგვარი თანამშრომლობა, მომზადებულია ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის ისეთები, როგორიცაა საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. სწორედ მის ბაზაზე აიგება ჩვენი ორი სახელმწიფოს ურთიერთობა. არის სხვა შეთანხმებანიც, რომელთა პროექტებს ასევე ხელს მოვაწერთ პარიზში.

ამავე დროს, როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, საქართველო-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის დამყარების გარდა, რომელიც ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, საფრანგეთში ვიზიტი სხვა ინტერესებსაც ისახავს მიზნად. როგორც ცნობილია, საქართველომ ახლახან მიიღო განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, პარიზში კი დისლოცირებულია იმ 24 სახელმწიფოს ძირითადი ცენტრები, ძირითადი ქვეგანაყოფები, რომლებიც წარმოადგენენ ბირთვს ეკონომიკური თვალსაზრისით ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებისადმი დახმარების, ხელშეწყობის საქმეში. დიდ იმედებს ვამყარებ, თქვა მან, იმაზე, რომ ვეწვევი ამ გაერთიანების გენერალურ სამდივნოს. გვაქვს არცთუ მარტივი კითხვები იუნესკოსადმი — საერთაშორისო ორგანიზაციისადმიც, რომლებთანაც განსაკუთრებით არიან დაკავშირებულნი პატარა სახელმწიფოები მეცნიერების, მისი ახალი დარგების განვითარების, კულტურულ ღირებულებათა დაცვის მხრივ. საკმაო ინტერესები აქვს საქართველოსაც ფირმებთან და გაერთიანებებთან, საფრანგეთის მსხვილ ბანკებთან საქმიანი ურთიერთობის გაფართოებაში. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ასეთი საკმაოდ ინტენსიური პროცესი იწყება და ახლა უაღრესად მნიშვნელოვანია ეს უზრუნველვყოთ პოლიტიკურად. და კიდევ, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, საფრანგეთის დედაქალაქში ხელი უნდა მოაწერონ პარიზის ქარტიას, რომელსაც მან წინათ ხელი მოაწერა, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ახლა კი ამ ქარტიას უნდა შეუერთდეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სახელით.

პრეზიდენტ კლინტონის ვიზიტის მნიშვნელობისა და აფხაზეთის თაობაზე ჟენევის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

შაბათ გვიან სალამოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა ამერიკის „ვინ" („მსოფლიო სატელევიზიო ახალი ამბები") ტელეკომპანიას.

შეეხო რა მოსკოვსა და ევროპის ქვეყნებში პრეზიდენტ კლინტონის ვიზიტს, შევარდნაძემ მას უწოდა მნიშვნელოვანი ეტაპი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოსტკომუნისტურ პერიოდში ახალი ურთიერთობის დამყარებაში. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აზრით კლინტონის ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც თვით ამერიკისა და რუსეთისათვის, ისე ევროპისა და ყოფილი სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკისთვისაც. „მადლობას მოვახსენებ ბორის ელცინსა და ბილ კლინტონს, აგრეთვე ნატოს საქართველოსადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის", — თქვა ე. შევარდნაძემ.

როცა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგებს შეეხო, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ჟენევაში მოახერხეს შესაძლო მინიმუმის მიღწევა. „ბევრი რამ იქნება დამოკიდებული უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებზე, რომლებმაც, ჩვენი აზრით, უნდა გაითვალისწინოს ამ ვალდებულებათა შესრულების გარანტიები", — განაცხადა ე. შევარდნაძემ.

კერძოდ, მხედველობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით სამშვიდობო ძალების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა და ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის მონაწილეობა. ე. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ კონფლიქტის გადაწყვეტაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კურსის თანამიმდევრული განგრძობა ააჩქარებს აფხაზეთში მშვიდობის დამყარების პროცესს, რუსეთის პოზიტიურ როლს, ამასთან თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების დაინტერესებას.

უპასუხა რა კითხვას ზვიად გამსახურდიას სიკვდილისა და დაკრძალვის შესახებ ცნობებით გამოწვეულ აჟიოტაჟს, ე. შევარდნაძემ თქვა: „ნებისმიერი ადამიანის, თუნდაც ისეთი ოდიოზური პიროვნების სიკვდილი, როგორიც ზვიად გამსახურდიაა, დანაკლისია მისი გარემოცვის, ნათესავებისა და ახლობლებისათვის.

თუ იგი მართლაც გარდაიცვალა, ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ მოეწყოს ექსპერტიზა და დადგინდეს ექსპრეზიდენტის სიკვდილის მიზეზები და გარემოებანი".

ე. შევარდნაძემ აღნიშნა: სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ გარკვეულ წრეებს, მის გარემოცვას უკვე ხელს აღარ აძლევდა ზვიად გამსახურდიას პიროვნება, იგი აღარა სჭირდებოდათ და თავიდან მოიშორეს, თუმცა სიკვდილის გარემოებათა შესახებ საბოლოო სიტყვა გამოძიებას ეკუთვნის.

შეეხო რა ექსპრეზიდენტის ნეშტის შემდგომი დაკრძალვის ადგილს, შევარდნაძემ კვლავ გაიმეორა, რომ ეს გამსახურდიას ოჯახის პრეროგატივაა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა ზ. ახვლედიანის დამკრძალავი კომისია მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველის ლერი გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით.

ზ. ახვლედიანი დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სულეიმან დემირელი: დიდი მოკითხვა მინდა დავაბარო საქართველოსთან და ქართველ ხალხთან!

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტისას თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „მეორე არხის“ კორესპონდენტს ნატო ონიანს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს, რომელიც პროგრამა „ტაიმ-აუტით“ გადაიცა.

— ბატონო პრეზიდენტო! რეგიონულ ინტერესებს, თუ იზოლირებულად განვიხილავთ, ჩვენს რეგიონში სამი ძირითადი გეოპოლიტიკური ერთეულია: რუსეთი, ირანი და თურქეთი. როგორ შეაფასებდით მათ ინტერესებს კავკასიის მიმართ?

დემირელი: — საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, მსოფლიოში ახალი, შეიძლება ითქვას, საინტერესო ვითარება შეიქმნა: გაჩნდა 15 ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც 200 წლის მანძილზე რუსეთის იმპერიას ემორჩილებოდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვება მათთვის ძალიან დიდი შანსი და წყალობა იყო. შემდეგ ამ ქვეყნების ნაწილს საკუთარი, შიდა პრობლემებიც შეექმნა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ისინი სიძნელეთა გადალახვის ზღვარზე დგანან. თუ კავკასიის რეგიონში იქნება მშვიდობა, თუ საქართველო შესძლებს მშვიდობის დამყარებას ქვეყნის შიგნით, თუ აზერბაიჯანი და სომხეთი გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწევენ, ეს მთელი კავკასიის ქვეყნებისა და ხალხებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება. ამას გარდა, ყოველივე ეს თავად ირანის, რუსეთისა და თურქეთისთვისაც სასარგებლო იქნება... ამგვარად, კავკასია, ასე ვთქვათ, გაიხსნება მსოფლიოსათვის. ამით კავკასიაში მცხოვრები ხალხები, რომელთა უმრავლესობასაც თურქეთში ნათესავები ჰყავს, უფრო ბედნიერნი იქნებიან, უფრო კარგად იზრუნებენ საკუთარი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის, განავითარებენ დემოკრატიულ პრინციპებს. თურქეთი მიზნად ისახავს რეგიონში მშვიდობა დაამყაროს.

— შევარდნაძემ აფხაზეთის კონფლიქტს, იმთავითვე გაუფართოვა საზღვრები და ჟურისეული, ფაშისტური სეპარატიზმის საფრთხის შესახებ შეახსენა მსოფლიოს. რამდენად აქვს ეს პრობლემა გათავისებული თურქეთს, მისი ეროვნული შემადგენლობიდან გამომდინარე და, საერთოდ, ბალკანეთში, რუსეთში (ჩრდილო კავკასია) მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რამდენად რეალურია ამგვარი საფრთხე მსოფლიოსათვის?

დემირელი: — გასული 3 წლის მანძილზე, განსაკუთრებით, — იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასპარეზზე გამოვიდა ნაციონალისტური მიმდინარეობანი. მსოფლიოში 3.000 ენაზე ლაპარაკობენ და 179 სახელმწიფო არსებობს. ყველა ენას რომ თავისი დროშა ჰქონდეს, 3.000 სახელმწიფო უნდა არსებობდეს. თუ, მაგალითად, პატარა სახელმწიფოში 28 ენაზე ლაპარაკობენ, 28 ნაწილად ხომ არ გაიყოფა?! ადამიანები უნდა მიეჩვივნენ ერთი დროშის ქვეშ, თანაბარ პირობებში ცხოვრებას. თუ ამას მოახერხებენ — ბედნიერები იქნებიან, თუ არა — ომებში ჩაეფლობიან. ომს კი სიკეთე არავისთვის მოუტანია.

თუ სახელმწიფოს მოქალაქე გახდით — ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოს მონა ხართ. თუ სახელმწიფო დემოკრატიულია, მაშინ უფლებებიც გექნებათ. ამ მხრივ, თურქეთს პრობლემები არა აქვს. აქვს მხოლოდ ტერორიზმის პრობლემა. ეს სეპარატისტული ტერორიზმია, რომელიც 10 წელიწადია მიმდინარეობს და მას თავისი წინა ისტორიაც აქვს. თურქეთი, ალბათ, დასძლევს ამას. ეს ეხება თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს, ეს მოვლენაც უცხოეთიდან საზრდოობს. თურქეთი მშვიდად არის და იგი გადალახავს ამ პრობლემას.

— შევარდნაძემ თქვა, რომ ნატო უნდა გახდეს უსაფრთხოების ახალი სივრცისათვის ერთგვარი ბაზა. როგორ აფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ინიციატივას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (სადაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან ერთად, რუსეთი და ყოფილი საბჭოეთიც იგულისხმება) და რა პირობებს უყენებს ეს ახალი ინიციატივა წევრებს?

დემირელი: — ქვეყნები, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირს ექვემდებარებოდნენ (პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ბალტიისპირეთი) დღეს უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვენ, მათ ნატოში გაწევრიანება და ნატოს მფარველობა სურთ.

მათი მიტოვება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. საჭიროა, მათთვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭება. არც რუსეთის იზოლაცია იქნებოდა სწორი, ისევე, როგორც რუსეთის ზოგიერთი რეგიონის კვლავ მტრად მოკიდება. ამიტომაც, გამოიძებნა ფორმულა — „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“. მასში გაერთიანება ყველას შეუძლია, ეს კარი ღიაა რუსეთისთვისაც, საქართველოსთვისაც, შესაძლებელია, ეს დოკუმენტი იქცეს ერთიანი ევროპის უსაფრთხოების სისტემის საფუძვლად, ვთქვათ, ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირი. ვინ იქნება მისი დამცავი „ქოლგა“ — ნატოს ჯარები? როგორი იქნება ნატოს როლი ახალ ევროპაში? — ყოველივე ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა და ალბათ, დრო გვიჩვენებს, თუ როგორ ჩამოყალიბდება და რა სახეს მიიღებს ეს საკითხი.

— საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ „ევროპა-აზიის დილემაზე“, რომელიც ჩინეთიდან იწყება, თურქეთზეც გადის და ევროპაში მთავრდება. როგორ ხედავთ მომავალში მის პერსპექტივას?

დემირელი: — ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. თუ, ბოლოს, და ბოლოს, მშვიდობიანობის პერიოდი გაგრძელდება, იგი უფრო ხანგრძლივი იქნება, შესაძლებელია განხორციელდეს ასეთი რამ... ჩვენ სიმპათიებით ვუყურებთ ამას.

— თურქეთი ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა, მაგრამ ვინ, თუ არა თურქეთმა, იცის აღმოსავლური დიპლომატიის ფასი. რა სპეციფიკით ხასიათდება აღმოსავლური დიპლომატია და საერთოდ, პოლიტიკა?..

დემირელი: — თურქეთსაც და საქართველოსაც მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ, თანაც — ძალზე მნიშვნელოვანი. ერთ მხარეს არის ბალკანეთი, მეორე მხარეს — რუსეთი და უკრაინა, მესამე მხარეს — კავკასია, შუა აზია, ირანი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ყველა ისინი ჩვენი (ორივე ქვეყნის) მეზობლები არიან. თითოეული ქვეყანა თავისებურებებით ხასიათდება, თითოეულ მათგანს განსხვავებული პოზიციები აქვთ თურქეთთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ნებისმიერ ამ საკითხს ჩვენ ძალზე მშვიდად ვუცქერით, როგორც თურქეთის, ისე ყველა ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენი სურვილია, ყველა საკითხი ჩვენს გარშემო მყოფ ქვეყნებთან მშვიდობიანი გზით გადაწყდეს. თანაც, მოთმინების უნარიც გვაქვს.

ყველა პრობლემას თავისებური გადაწყვეტა აქვს. ჩვენ ყველა პრობლემას სწორედ მისი თავისებურებებიდან ვუდგებით და გადაწყვეტილებებს რაიმე ერთი ფორმულის მიხედვით არ ვიღებთ...

— თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა თქვა, რომ ცენტრალურ აზიას და ყაზახეთს შეუძლებელია არ ჰქონდეთ საერთო ინტერესები რუსეთთან, მაგრამ იმავე ქვეყნებს აქვთ თურქეთთან საერთო ენა, სარწმუნოება, ეთნიკური კუთვნილება. 70-წლიანმა საბჭოთა მმართველობამ გამოიწვია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის მუსლიმანური სამყარო აღარ არის იმდენად რელიგიური, რამდენადაც ყველა დანარჩენი. როგორ მოახერხებენ ეს ქვეყნები მსოფლიო მუსლიმანურ სივრცეში ჩართვას და ხომ არ იქნება ეს პროცესი მტკივნეული, ხომ არ შელახავს რუსეთის ინტერესებს?

დემირელი: — შუა აზიის რესპუბლიკები, რომლებიც საბჭოთა მმართველობის სისტემიდან გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, მუსლიმანური ქვეყნები არიან. საერთო რელიგიის თუ ძმურ ურთიერთობებს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოველმა ქვეყანამ საკუთარი თავი თავად უნდა მართოს. ჩვენ მათ ძმებად ვთვლით, გვაქვს ისტორიული თუ კულტურული კავშირები, მათ შინაურ საქმეებში, რა თქმა უნდა, არ ჩავერევით, მაგრამ მატერიალურ და ჰუმანურ დახმარებას გავუწევთ.

— ყარაბაღთან დაკავშირებით თურქეთმა არაერთხელ გამოთქვა საკუთარი პოზიცია. როგორ შეაფასებთ იქ არსებულ სიტუაციას ახლა და როგორ აფასებთ აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანებას?

დემირელი: — აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი მხოლოდ ყარაბაღის კონფლიქტთან არ არის დაკავშირებული. სომხეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიის 25 პროცენტი დაიპყრო. სომხეთს დიდი შეცდომა მოუვიდა. ძალზე შეირცხვინა თავი... თუ დღეს იარაღის ძალით შეეცდები საზღვრების შეცვლას, ამას არავინ შეგარჩენს. აბსურდულ პრობლემებს ვერასდროს დააღწევ თავს. ამიტომაც იყო, რომ ნატოს ბრიუსელის დეკლარაციაში ჩაიწერა პუნქტი, რომელიც კავკასიის ქვეყნების საზღვრების ხელშეუხებლობას გულისხმობს.

— რა უშლის ხელს ევროპული ორიენტაციის ქვეყანას — თურქეთს გახდეს ევროგაერთიანების წევრი, რა პირობებს არ აკმაყოფილებს თურქეთი?

დემირელი: — თურქეთი დღეს ევროგაერთიანების დროებითი წევრია და სურს მუდმივი წევრის სტატუსი მიიღოს. არის გარკვეული დაბრკოლებები, მაგრამ, თურქეთი გადალახავს მათ. 1995 წელს თურქეთი გახდება ერთიანი ევროპის საბაჟო ხელშეკრულების წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა-წევრთა უფლებას მიიღებს ტრანსპორტირებისა და გადაადგილების თვალსაზრისით, გაუქმდება ბაჟი თურქეთის საზღვრებზე. ეს კიდევ ერთი, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საერთო ბაზრისკენ. თუმცა, სრულუფლებიან წევრობას 5-6 წელიწადი კიდევ დასჭირდება. ევროგაერთიანება იცვლის თავის იერს, ყველა მისი ორგანიზაცია იცვლის იერს...

— საქართველოსთან ურთიერთობის რა პერსპექტივებს ხედავს თურქეთი, ინტერესების რა სპექტრი აკავშირებს თურქეთს საქართველოსთან?

დემირელი: — საქართველოსთან საუკეთესო ურთიერთობები გვექნება. საქართველო ჩვენთვის ძვირფასი მეზობელია. საზღვრის იქით და აქეთ მცხოვრებნი — ერთმანეთის ნათესავებიც არიან. თურქეთში ბევრი ქართული წარმოშობის მოქალაქეა, ძალიან კარგი მოქალაქეები არიან. ჩვენ ვიცით საქართველოს ისტორია, კულტურა, ადათ-წესები. არავითარი პრობლემა თქვენთან ურთიერთობაში არა გვაქვს. გვექნება საუკეთესო, მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირები საქართველოსთანაც და მის მეზობელ ქვეყნებთანაც — რუსეთთან, აზერბაიჯანთან, შუა აზიის რესპუბლიკებთან, შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან, ყოველმხრივ საუკეთესო ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ურთიერთობები დამყარდება.

... ბოლოს, დიდი მოკითხვა მინდა დავაბარო საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. ბატონ შევარდნაძის ვიზიტით დიდად კმაყოფილი ვარ. ბ-ნი შევარდნაძე ქართველი ერის ღირსეული წარმომადგენელია, ჩვენთვის ძალიან ძვირფასი პიროვნებაა და საქართველოს ხელმძღვანელად მისი ყოფნა დღეს საქართველოსათვის დიდი შანსია. ყველამ უნდა გაიგოს მისი ფასი...

ბატონებო, ჩამოდით ცხენიდან!

15 იანვარს, გაზეთ „საქა თველოს რესპუბლიკაში“ გამ ვეყნდა ლიბერალურ-კონსერვატ იული კოალიციის პოლიტსაბ ჭოს განცხადება. თუ გავიხსენ ებთ ამ ე. წ. კოალიციის წარ მომადგენლების მოღვაწეობას პარლამენტში, მათ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გამოსვლ ებს, ამ განცხადებაში ახალი არ აფერია ნათქვამი, მხოლოდ ასხ ურდული ბრალდებებია დაკონ კრეტებული.

ქვეყნის ტერიტორიის ნაწ ლის დაკარგვა, ეკონომიკის ნგრევა და ა. შ. სახელმწიფოს ხელმძღვანელობის პოლიტიკ რმა კურსმა კი არ გამოიწვია, როგორც ამას კოალიციის წა რმომადგენლები აცხადებენ, არამედ, სახელმწიფოს ხელმძღვ ანელობის მიერ არჩეული სწო რი კურსის დროულმა და თა ნამიმდევრულმა განუხორციელებლობამ, რაშიც ერთ-ერთი მთავარი „დამსახურება“ პარლა მენტის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც ახლა ამ ე. წ. კოა ლიციაშია გაერთიანებული. თა ვის დროზე რუსეთთან ხელშე კრულებათა დიდი პაკეტი რომ ხელმოწერილიყო, ტერიტორიის ნაწილის დროებითი დაკარგვა და ის აუნაზღაურებელი მსხვე რპილი არ იქნებოდა. პარ ლამენტის თავმჯდომარე თით ქმის ყველა სხდომაზე კატეგ ორიულად მოითხოვდა რუსეთ თან ხელშეკრულების დადებას, რასაც დღევანდელი კოალიცი ონერები „ხიშტით“ ხვდებოდ ნენ და რუსეთთან ურთიერთ ობის მოგვარებას კაპიტულაც იად აცხადებდნენ. სწორედ ამა ზეა ნათქვამი „გაღმა შედგე ვე და გამოღმა შეგრჩებაო“. ასეთი პრინციპით მოქმედებ ახლა ე. წ. კოალიცია.

განცხადებაში ნათქვამია: „ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან შეინიშნება რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებ ით პოლიტიკური და კრიმინალ რი პრობლემების გადაჭრ მცდელობა“. რაიმე პოლიტიკ რი პრობლემა, აფხაზეთისა და ოსეთის საკითხების მოგვარებ გარდა, რომლებიც მოითხოვე ნენ რუსეთის ჩარევას, საქა რთველოს არ გააჩნია. თუკი ამ ორი მთავარი პრობლემის მოგ ვარებაში რომელიმე მეზობელ ქვეყანა დაგვეხმარება, თუნდაც სამხედრო ძალით, რატომ უ და ვთქვათ უარი?

გუშინდელი ფოსტიდან

რესპუბლიკაში კრიმინალურ მდგომარეობამ თავის ზენიტს მიაღწია. მაშ, რატომ ბრძანე ბით, ბატონო კოალიციონერე ბო, წესრიგის დამყარების ნაომდეგი? რატომ გეშინი ის, რომ ქართული პოლიც მეორე ძალასთან ერთად, რო მელიც სამოცდაათი წელი დია, აქ იმყოფება, ჩვენს წამებულ ქვეყანაში სრულ წე სრიგს დაამყარებს და ადამია ებს ამოსუნთქვის საშუალებ მისცემს? — იმიტომ ხომ არა, რომ მსოფლიოს თვალში ჩვენ სახელმწიფოს განუმტკიცდეს ბა ნდიტიზმის, მაფიის, ნარკობიზ ნესისა და პოლიტიკანების ქვეყ ნის სახელი? ხომ კარგად იცი რომ რაც ჩვენთან ხდება, ა ერთ ქვეყანაში ის არ ხდება (და იჭერენ ბანდიტს და იზოლ ორს ასი შეიარაღებული პირ მიადგება მის გასაშვებად!, და ჰქერენ ყაჩაღთა ჯგუფს — ურეკავენ „ზემოდან“ და გა შვებენ!!!). ჩამობრძანდით, ბა ტონებო, ცხენიდან დედამიწა და მიმოიხედეთ ირგვლივ! თუ ჩამოვართმევით ის დიდძალი ი რაღი, რომელიც ამჟამად ქართველი მოსახლეობის ხე შია, არ განვაიარაღეთ ათასო ით ბანდიტი და ყველა ჯურ დამნაშავე, ქვეყანაში წესრი არ აღდგება. ეს კი გაკეთდე მხოლოდ ისეთი ძალის მონაწ ლეობით, რომელიც იხელმძღ ანელებს კანონით და არა „ნა ყობით“, ნაცნობ-მეგობრობ თანამდებობითა და ქრთამ აღებით. არავითარი დაპირისპ რება პატიოსან სამყაროსა იმ ძალას შორის არ მოხდე ხოლო კრიმინალური და მაფ ზური სამყარო ქვეყნის პატ ოსან სამყაროსთან კარგა ხა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული!

რაც შეეხება სამანეთო ზონ ში საქართველოს შესვლას, დროზე უნდა გადაწყდეს. მხრივ, მთავარი სიტყვა თქვან ფინანსისტებმა და ე ნომისტებმა, მაგრამ არა ის „პროფესიონალებმა“, როგორ ბიც აღმოჩნდნენ ყოფილი ცე-პრემიერი და ეროვნული ნკის ყოფილი პრეზიდენტი. თუ არ შევალთ სამანეთო ნაში, მაშინ რესპუბლიკაში და აიკრძალოს ნაღდი ანგა სწორებით ნებისმიერი უც რი ვალუტის მოქმედება ერთადერთ საგადასახადო სა ლებად კუპონი დარჩეს...

ვანო არაგვისპირელ

დუშეთის რაიონი, ს. მაღ კარი.

დაებედოს საქართველოს მოქალაქეთა კავშირს დიდი მომავალი საქართველოსთან ერთად

ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა,
ვაი, იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა,
სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა,
სადაც.. „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი.

დიდი ილიას ეს ბრძნული სიტყვები, გულის სიღრმეში რომ სწვდებოდა ყველას, ვინც კი 15 იანვარს თბილისის მოქალაქეთა კავშირის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატი ბრძანდებოდა, ლაიტმოტივი გახდა ყველა გამომსვლელისათვის. მართლაც, — როგორც კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ თქვა, — ეს არ იყო რიგითი ღონისძიება, რადგან უნდა მოიძებნოს ჩვენი უბედურების სათავე, უნდა დამთავრდეს ავტომატის ძალაუფლების ეპოქა.

საქართველოში უნდა აღდგეს წესრიგი — ეს მთავარი აზრი გასდევდა კონფერენციაზე გამომსვლელების სიტყვას — იქნებოდა იგი უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ხაზარაძე თუ მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილე ლონგი ბელიძე, საბურთალოს რაიონის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ჭემალ სვანიძე თუ საქართველოს კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე...

ჩამრიცხეთ რიგით ჯარისკაცად, რათა დავიცვა ჩემს ქალაქში წესრიგი, — თბილისელი ანზორ კოპაძის ეს მოთხოვნა, რომელმაც ომში დაკარგა ერთადერთი შვილი, — ყველა დამსწრე თბილისელის მოთხოვნა იყო.

დღეს თბილისში უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. მათ შორის მთავარია ანტისანიტარიის პრობლემა, რომელიც ქალაქს დიდ საფრთხეს უქმნის. პრობლემაა ელექტროენერგიით მომარაგება, როცა ირღვევა ყოველგვარი გრაფიკი და სრული განუკითხაობაა.

— ჩვენ არა გვაქვს 40 წელი, რომ უდაბნოში ვიაროთ. ჩვენ გვაქვს ძალიან მოკლე მონაკვეთი — სულ ორიოდე წელი, რომ დაღუპვას გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, — თქვა კონფერენციაზე საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ გოცაძემ.

— განვთავისუფლდეთ შიშისაგან და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. გადადგეს ყველა, ვინც ვერ უძღვება საქმეს, ვინც ვერ დაიმსახურა ხალხის ნდობა და სიყვარული, იქნება ეს მინისტრი თუ სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის მუშაკი, განაცხადა პედაგოგთა წარმომადგენელმა ელიკო თევდორაძემ.

თბილისზე, მის ღირსებაზე, წესრიგის დამყარებაზე, მაფიოზური სტრუქტურებისაგან მის განთავისუფლებაზე, მის განწმენდაზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ილაპარაკეს თბილისის პოლიციის უფროსმა დავით ზეიკიძემ, ცნობილმა მომღერალმა და მსახიობმა ვახტანგ კიკაბიძემ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ვანო გიგოშვილმა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებმა გია ბარამიძემ და გიორგი მაისურაძემ, სხვებმა.

კონფერენციაზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— მოქალაქეთა კავშირი ახალი საქართველოს დასაყრდენი იქნება, რადგან ჩვენ არ მოვსულვართ ნგრევის ტალღაზე, — თქვა მან. — დამთავრდა ნგრევა და განუკითხაობა. დაიწყო შენება. მძაფრი სიტუაციაა დედაქალაქსა და მთლიანად ქვეყანაში. ბევრი სასოწარკვეთილებას მიეცა, ბევრმა ხელი ჩაიქნია — ამ ქვეყანას აღარაფერი ეშველებაო, მაგრამ მე ამის კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ღრმად მწამს, რომ ჩვენ ავაშენებთ ახალ საქართველოს. დღე-ნახევარი ვიყავი თურქეთში, სადაც მიგვიღეს როგორც ღირსეული ქვეყნის ღირსეული წარმომადგენლები. თურქეთს სჯერა, რომ საქართველოში სულ მალე დამყარდება წესრიგი და მის ბიზნესმენებს სურთ აქ დააბანდონ თავიანთი კაპიტალი. ჩვენი მხრივ, მზად ვართ ივნისში თბილისში მივიღოთ ათი ქვეყნის მეთაური და აქ გავმართოთ თათბირი, რომელიც ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. დაიწყო დადებითი პროცესები. რუსეთის შემობრუნების პროცესი ხელს შეუწყობს აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების დაჩქარებას. თბილისში იმყოფება გაეროს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა დაბრუნებისა და დახმარების საკითხებში. მას დიდი გამოცდილება აქვს და ვიმედოვნებთ, რომ ეს პრობლემა დადებითად გადაწყდება.

მაგრამ, როგორც ყველა აქ გამოსულმა აღნიშნა, — განაგრძო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მთავარია აღდგეს წესრიგი. ბრძოლა დაიწყო. ამის დასტურია მცხეთის, სვირისა და ქვემო ქართლის მაგალითები, მაგრამ მე უფრო მეტს მოვითხოვ. არცერთი მინისტრი არ დარჩება თავის ადგილზე, თუ არ გააკეთებს თავის საქმეს. წესრიგი საჭიროა ყველგან: ქალაქში, ტრასებზე, დაწესებულებებში, და ეს მარტო ხელისუფლებისა და მთავრობის საქმე როდია, — ეს ყველას საქმეა. მილიონ-ნახევრიანი ქალაქი რომ ფეხზე დადგეს, მას წინ ვერავინ ვერ დაუდგება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის დასუფთავებას, გაირკვეს, რა ხდება საქენერგოში და რატომ ირღვევა ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი.

— მე მრავალპარტიულობის, ნამდვილი დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის მომხრე ვარ, — თქვა ე. შევარდნაძემ. — მაგრამ ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ. ჩვეთი პარტიებისაგან, რომლებსაც საკუთარი შეიარაღება აქვთ.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის უზენაესი ამოცანაა გამოიყვანოს ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, გადაარჩინოს კულტურა და მეცნიერება. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველა პარტიასთან, ყველა ორგანიზაციასთან, რომლებსაც შენება და ახალი დემოკრატიული საქართველო უნდათ. მაგრამ ვინც უსამართლოდ გვებრძვის, ჯეროვან პასუხს მიიღებს. დღეს ბედობის დღეა, თქვა დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ. — დაე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირს დაებედოს ერთიანობა, შემწყნარებლობა, ყველა ოჯახს დაებედოს მშვიდობა. 1994 წელი შემობრუნების წელი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში. მე ღრმად მწამს, რომ ერს, რომელიც ასეთ მძიმე ჟამს ტაძრის აღდგენაზე ზრუნავს, უკვდავება უწერია.

კონფერენციამ აირჩია თბილისის მოქალაქეთა კავშირის თანათავმჯდომარეები — ვახტანგ კიკაბიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი და გია ჟორჟოლიანი. აირჩიეს აგრეთვე კავშირის გამგეობა და ხათათბირო.

აფხაზეთი—ჩვენი ტკივილი!

კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ

„ჟენევის მოლაპარაკებაზე ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მიღწეულია მნიშვნელოვანი მორიგებანი, — განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯ. სილსმა. — მოლაპარაკების მნიშვნელოვანი შედეგი გახდა, ჯერ ერთი ის, რომ მხარეებმა აღიარეს, რომ მთავარია ვითარების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგება. მეორე, მხარეები შეთანხმდნენ აფხაზეთში ხიზანთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების მთელი რიგი პროცედურებისა და პრინციპების შესახებ. მხარეებმა მოუწოდეს აგრეთვე უშიშროების საბჭოს გააფართოოს რეგიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფნა“.

ჯ. სილსმა თქვა, რომ ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების საკითხთა ექსპერტთა შემდეგი შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 8 თებერვალს.

„რუსეთი მზად არის კვლავაც შეასრულოს შუამავლის როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში. ჩვენი მონაწილეობა დაზავების გზების ძიებაში უაღრესად აქტიური ხასიათისა იქნება“, — ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. პასტუხოვმა, რომელიც რუსეთის დელეგაციას მეთაურობდა ქართველთა და აფხაზთა ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის დროს.

სოხუმის ციხიდან გაათავისუფლეს პროფესორი პაპასკირი, გუდაუთაში კი პატიმრობაში იმყოფება ქართველი ინჟინერი

სამ თვეზე მეტი გაატარა სოხუმის ციხეში ცნობილმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორმა ზურაბ პაპასკირმა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთგზის მიმართეს აფხაზურ მხარეს მოთხოვნით გაეთავისუფლებინათ უდანაშაულო მეცნიერი, მაგრამ, სამწუხაროდ სხვადასხვა საბაბით ამ საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდებოდა. მხოლოდ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის აქტიური ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი ზურაბ პაპასკირის გათავისუფლება.

პარასკევს საღამოს საქართველოს სამხედრო ტყვეების, უკვალოდდაკარგულთა და მძევალთა რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა ზაქარეიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ 14 იანვარს სოხუმის ციხიდან გაათავისუფლეს ბ-ნი ზურაბ პაპასკირი. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლებმა გადაიყვანეს პროფესორი პაპასკირი ჯერ ადლერში, იქიდან კი სპეციალური თვითმფრინავით თბილისში, სადაც იმყოფებიან პაპასკირის ოჯახის წევრები.

საქინფორმის კორესპონდენტი თენგიზ პაჭკორია ესაუბრა თბილისში მყოფ პროფესორ ზურაბ პაპასკირს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა მისი გათავისუფლების საქმეში, დასვენებისა და მკურნალობის შემდეგ პროფესორი პაპასკირი გააგრძელებს საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით გუდაუთის ციხეში იმყოფება გუდაუთელი ინჟინერ-მშენებელი მურთაზ გელენიძე. აფხაზური მხარე ცხრა თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობს დააბრალოს მურთაზ გელენიძეს ჯაშუშობა საქართველოს სასარგებლოდ.

პაატა ზაქარეიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ აფხაზური მხარე უახლოეს ხანში გაათავისუფლებს უდანაშაულო მურთაზ გელენიძეს. ეტყობა აფხაზებმა დაივიწყეს ქართველი ინჟინრის ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელმაც, სხვათაშორის, 80-იან წლებში დიდი წვლილი შეიტანა გუდაუთის რაიონის კეთილმოწყობაში.

ხიზანთა დასაბრუნებლად საჭიროა მათი უშიშროების მტკიცე საერთაშორისო გარანტიები

უკანასკნელი დღეების მანძილზე აფხაზეთის საინფორმაციო სამსახურები, იყენებენ რა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებას, ავრცელებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოს მხარე აბრკოლებდეს ქართველ ხიზანთა დაბრუნებას გალის რაიონში და ქმნიდეს ხელოვნურ დაბრკოლებებს, ახორციელებდეს ხიზანთა დამუშავების შესაბამის პროპაგანდას.

ამგვარი ცნობები, რბილად რომ ვთქვათ, აფხაზეთიდან იმ ათასობით ხიზანთა გაკვირვებასა და გაოცებას იწვევს, რომლებმაც თავი შეაფარეს ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში.

საქინფორმის კორესპონდენტმა თენგიზ პაჭკორიამ აღნიშნული ცნობების განმარტება სთხოვა დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციის ზონაში დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს გივი ლომინაძეს. მან თქვა: „ეს მტკიცებანი აფხაზეთის მხარის მორიგი დეზინფორმაციაა, რომელიც ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრიობა და სასურველს სინამდვილედ ასაღებს. ჯერ ერთი, საქართველოს ხელისუფალთ არასოდეს არ დაუბრკოლებიათ ხიზანთა დაბრუნება მშობლიურ ადგილებში. მეორე, ხიზანთა უმრავლესობას დასაბრუნებელი ადგილიც არა აქვს, რადგან მათი სახლები გალისა და აფხაზეთის სხვა რაიონებში ან დამწვარია ან გაძარცვულია აფხაზ და ჩრდილოეთკავკასიელ ბოევიკთა მიერ. მესამეც, აფხაზეთის მხარეს უკანასკნელი თვეების მანძილზე არაერთხელ მოუწოდებია ხიზნებისათვის დაბრუნებულიყვნენ მშობლიურ ადგილებში, მაგრამ, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ამას კეთილი სურვილებით როდი სჩადიოდნენ. დაუჯერეს რა ამ დაპირებებსა და მოწოდებებს, ზუგდიდის რაიონში დროებით თავშეფარებულმა ასობით ხიზანმა აფხაზეთიდან დამოუკიდებლად იწყო დაბრუნება მშობლიურ სახლებში გალის რაიონის ზოგიერთ სოფელში, სადაც ისინი კვლავ გაძარცვეს და დაარბიეს აფხაზმა და ჩრდილოეთკავკასიელმა ბოევიკებმა. ამ ლტოლვილთა სიცოცხლეს, რომლებიც აფხაზეთის მხარემ ფაქტობრივად შეიტყუა გალის რაიონში, კვლავ შეექმნა საფრთხე. საქართველოს ხელისუფლები იძულებულნი გახდნენ კვლავ ეხსნათ ისინი. გარდა ამისა, რამდენიმე ათეული ხიზანი აფხაზეთის მხარის მიერ მდინარე ენგურის ხაზის გაყოლებით გალის რაიონის ტერიტორიაზე ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა. ბევრი მათგანი უხელფეხოდ დარჩა. ჩვენ სულაც არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ხიზნები დაბრუნდნენ გალის რაიონში, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გვექნება უსაფრთხოების, მშობლიურ ადგილებში ხიზანთა დაბრუნებისა და ცხოვრების მტკიცე საერთაშორისო გარანტიები. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მხარემ წინათ უხეშად დაარღვია და არ შეასრულა ყველა წინათ მიღწეული მორიგება და თავისივე დაპირებანი და მოწოდებანი.

თენგიზ პაჭკორია,

ყველამ თანაბრა რომ მიიღოს...

ქუთაისი. ამ ლაკონური წინ დადებით შეიძლება განისაზ როს რესპუბლიკის მთავრ საგანგებო დავალებით შექმნ სამუშაო ჯგუფის საქმიანო ჯგუფი კოორდინაციას უწევს სავლეთ საქართველოს რეგი საქველმოქმედო დახმარების ცესს.

— ამჟამად დასავლეთ სა თველოში კი 16-მდე საერთ რისო ორგანიზაცია მოქმედე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიურ მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს ერთიან სატარიფო ბადეში სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიურ და ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების თანრიგები 6-დან 18-ის ჩათვლით და 1994 წლის 1 თებერვლიდან მათი ხელფასები განისაზღვროს რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონესთან თანაფარდობის შესაბამისი კოეფიციენტებით: 8,8-18,8 ოდენობით.

ამასთან დაკავშირებით, დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარმოუდგინონ დასამტკიცებლად პედაგოგიურ და ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების განაკვეთები და ძირითადი ხელფასის დანამატების ოდენობები.

2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ერთი თვის ვადაში განიხილონ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინადადება, რომ ახალი სასწავლო წლიდან:

— დაუწესდეთ სკოლამდელ დაწესებულებათა, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებს თვიური ხელფასის განკვეთი შესაბამისად 30 და 24 საათის კვირეულ დატვირთვაზე;

— დაუწესდეთ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს თვიური ხელფასი 15 საათის კვირეულ დატვირთვაზე;

— შემცირდეს უმაღლეს სასწავლებლებში ფარდობითი კოეფიციენტი მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. მაღალმთიანი და მასთან გათანაბრებული რეგიონების სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სამინისტროს მიერ მივლინებულ პედაგოგებსა და აღმზრდელებს მიეცეთ დანამატები 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი განაკვეთისა.

— დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით წარმოადგინოს იმ რეგიონების ნუსხა, რომლებზეც გავრცელდება აღნიშნული წესი.

4. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ:

— მაღალმთიან და მასთან გათანაბრებულ რეგიონებში მომუშავე პედაგოგ-აღმზრდელები უფასო საცხოვრებელი ბინითა და კომუნალური მომსახურებით. კომუნალური ბინების უქონლობის შემთხვევაში, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უშუალოდ დადონ ხელშეკრულებანი, სკოლების მასწავლებლების, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის ბინების იჯარით მიცემის შესახებ;

— სოფლად მომუშავე აღმზრდელ-მასწავლებლებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა და გრძელვადიანი სესხის მიცემა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, აგრეთვე კომუნალური მომსახურების გადასახადის 50 პროცენტით შემცირება;

დაბებში, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში მომუშავე აღმზრდელ-მასწავლებლების ბინათმშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფა, კომუნალური მომსახურების გადასახადიდან პედაგოგისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების განთავისუფლება.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შრომის ანაზღაურების ერთიანი სატარიფო ბადის დამუშავებისას გაითვალისწინოს სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაკთათვის პირველ პუნქტში მოთხოვნილი თანრიგები შრომის ანაზღაურების შესაბამისი კოეფიციენტებით.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ 1994 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად საჭირო სახსრები.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს:

— 1994 წლის მარტამდე შეიმუშაოს სისტემის სტრუქტურის სრულყოფისა და რაციონალიზაციის ღონისძიებანი;

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გააცნოს ისინი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის მოადგილე
ზ. კერვალიშვილი.

ილუზიებით თავს ნუ მოვიტყუებთ, ვეძებოთ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა!

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების განცხადება

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე ამ ბოლო პერიოდში მოხდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დაფუძნება. საფუძველი ჩაეყარა ორგანიზაციას, რომელმაც იკისრა ჩვენი სამშობლოსათვის ამ ძნელ პერიოდში მხარში ამოუდგეს ხელისუფლებას მისი ურთულესი და ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად. კავშირი პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა დგას და მთელი საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების ინტერესებს იცავს.

ასე გასაგებად არის ნათქვამი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დამფუძნებელ კრებაზე 1993 წლის 21 ნოემბერს მიღებულ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დეკლარაციასა“ და „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დებულებაში“.

მოქალაქეთა კავშირი თავის უპირველეს, მთავარ და უახლოეს ამოცანად ისახავს საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის, საქართველოს იურისდიქციის დაცვასა და აღდგენას მთელ მის ტერიტორიაზე. „ყველა, ვისაც აყრევინეს თავისი მამული, უნდა დაუბრუნდეს თავის საცხოვრისს, ყველას უნდა დაუბრუნდეს წართმეული სახლ-კარი, ქონება...“. ამოცანები, რომლებსაც კავშირი ისახავს წარმოებისა და მომსახურების ყველა სფეროს გასაუმჯობესებლად, სამართლიანობისა და კანონიერების აღსადგენად და გასამარჯვებლად, დემოკრატიული, ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად და დასამკვიდრებლად, აფხაზეთის მოსახლეობის გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს.

დიდი ხანი არ გასულა დამფუძნებელი კრების მოწვევიდან, მაგრამ მის მოწოდებებსა და დასახულ ამოცანებს უკვე ათასობით და ათიათასობით ჩვენი თანამემამულე იწონებს და ეთანხმება, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სწორედ ამაზე მეტყველებს ის ინიციატივა და აქტიურობა, რომელიც დღევანდელი დამფუძნებელი კრების მონაწილეებმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალმა სხვა წარმომადგენელმა გამოიჩინეს და რომლებმაც უკვე განაცხადეს სურვილი გაერთიანდნენ საქართველოს მოქალაქეთა კავშირში.

შევიკრიბეთ რა დამფუძნებელ კრებაზე, ვაცხადებთ, რომ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დეკლარაციასა და დებულებაში მოცემულ თეორიულ დასკვნებს და შეფასებებს, დასახულ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ღონისძიებებს.

თითოეულ ჩვენგანს თავის კონკრეტულ და საერთო ამოცანად მიაჩნია ის, რომ ყველაფერი იღონოს, რათა საზოგადოებრივმა ძალებმა და სახელმწიფო ორგანოებმა კარგად გაიცნობიერონ შექმნილი ვითარების სერიოზულობა და სირთულე, ობიექტურად და პრინციპულად შეაფასონ მისი გამომწვევი მიზეზები, ეძებონ და გამონახონ ამ ვითარებიდან გამოსვლის გზები და შესაძლებლობანი.

გამოგვაქვს რა სერიოზული დასკვნები და გაკვეთილები დაშვებული შეცდომებიდან და არსებული ნაკლოვანებებიდან, საჭიროდ მიგვაჩნია: აქტიურად ვითანამშრომლოთ აფხაზეთის და მთელი საქართველოს ხელისუფლებასთან, სამეურნეო და კომერციულ სტრუქტურებთან, აგრეთვე ყველა პროგრესულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალასთან.

ამასთანავე ვემიჯნებით რესპუბლიკის ცალკეულ მოღვაწეთა, პარტიებისა და საზოგადოებების წარმომადგენლების ისეთ გამოსვლებსა და განცხადებებს პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით და სხვა ფორმის კონკრეტულ ქმედებებს, რომლებსაც შეუძლია აფხაზეთის პრობლემებში ჩაუხედავი ადამიანების უნდობლობა და ეჭვი გამოიწვიოს, დაქსაქსოს ჩვენი რიგები, შექმნას დაპირისპირების ატმოსფერო, არსებული სიძნელეები გამოიყენოს საკუთარი ანგარებითი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

დროა ყველამ შევიგნოთ, რომ ამბიციებს, ილუზიებს აყოლა, ჩვენი აფხაზეთში დაბრუნების გზების ამა თუ იმ ფორმის გაფეტიშება, პრობლემების ერთი ხელის დაკვრით მოგვარების ცდა თავის მოტყუება და ღალატის ტოლფასია. ჩვენ ვეძებთ და ვადგავართ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას, რათა კვლავ არ დაიღვაროს უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, მაგრამ, თუ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მოწინააღმდეგე უწინდებურად უგულებელყოფს ჩვენს კანონიერ უფლებებსა და მოთხოვნებს, მაშინ დიპლომატიური გზების ძიებისათვის დროის უშედეგო ხარჯვა უნდა შეიცვალოს იარაღით ხელში ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისათვის უკომპრომისო ბრძოლით, საჭიროა ძალებისა და რესურსების მობილიზება და გამოყენება.

აფხაზეთის მთავრობის, ყველა ჩვენგანის მთავარი ამოცანა და უპირველესი მოვალეობაა ლტოლვილთა უპირობო, უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნება მშობლიურ ნაჭაფ მიწაზე, მათი ცხოვრებისათვის ნორმალური და ჩვეული პირობების შექმნა.

ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს ხელისუფლებას, მის პოლიტიკასა და მოქმედებას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისათვის, მისი ერთიანობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ საქართველოს და აფხაზეთის მთავრობების, ჩვენი ქვეყნის მთელი ეროვნული, პატრიოტული, შემოქმედი და უანგარო ძალების შეთანხმებული და შეკავშირებული მუშაობით შეიძლება აფხაზეთის პრობლემის ობიექტური და კანონიერი გადაჭრა.

საკითხის ოპტიმალური მოგვარების იმედს გვინერგავს ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებანი, რომლებიც ამ ბოლო დროს ხდება რუსეთის ფედერაციაში, მისი რეალისტური პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთის ფედერაციასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების პოლიტიკას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის შესვლას, ამ თანამეგობრობაში გაერთიანებულ სუვერენულ სახელმწიფოებთან მრავალმხრივი ხელსაყრელი ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს დღევანდელი რეგიონული და მსოფლიო რეალიების გათვალისწინებით, და ეს მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემების განხილვისა და გადაჭრის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

მივესალმებით ჩვენი ქვეყნისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს, ევროთათბირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იაპონიის, თურქეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების თანადგომას, მხარდაჭერასა და დახმარებას და გვწამს, რომ მათი როლი, ძალისხმევა უფრო გაიზრდება და უფრო ეფექტიანი გახდება ჩვენი ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და სხვა პრობლემების მოგვარებისა და გადაწყვეტის საქმეში.

ამ ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ხიზანთა, ლტოლვილთა, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა უმძიმესი ხვედრის შემსუბუქება, საცხოვრებლით, სასურსათო პროდუქტებით, მედიკამენტებით შეძლებისდაგვარი უზრუნველყოფა, ტერორის, ძალადობის, ძარცვისა და სხვა უბედურებათაგან მათი დაცვა. სწორედ ამ საქმეში შეიძლება ჭეშმარიტად წარმოჩნდეს — ვინ რა არის, და ვის შეუძლია საქმით ემსახუროს ბედუკუღმართობის, გარეშე და შინაური შავბნელი ძალების დანაშაულებრივი კავშირის, მუხანათობისა და ვერაგობის, ღალატისა და გაცემის შედეგად განსაცდელსა და სიდუხჭირეში ჩავარდნილ ხალხს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სახელმწიფოს რესურსები შეზღუდულია და სწორედ ამიტომ არის საჭირო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და გადასაწყვეტად უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული კერძო სტრუქტურების, ბიზნესმენების, გულმოწყალეთა და სხვათა სახსრები და მატერიალური შესაძლებლობანი, უფრო ოპერატიული, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჰუმანური დახმარებისათვის გამოყოფილი პროდუქტებისა და სხვა მატერიალური საშუალებების მიღება-განაწილება.

შეუწყნარებლად მიგვაჩნია მთელი აფხაზი ხალხის დამნაშავედ გამოცხადება და ამით მარადიული მტრის სახის შექმნა; ამასთანავე, პრინციპულად ვიბრძოლებთ იმ მოღალატეებისა და დესტრუქციული ძალების უმკაცრესი დასჯისათვის, რომლებმაც გენოციდი მოუწყვეს ქართველებს, საკუთარ ხალხს, სიცოცხლე მოუსპეს და ცხოვრება გაუმწარეს ათასობით და ათიათასობით სხვა ერისა და ეროვნების ადამიანს.

სწორედ ამის აუცილებლობასა და გარდაუვალობას მოწმობს ცინიზმითა და თავაშვებულობით აღსავსე განცხადებები, რომლებსაც ამ ბოლო დრომდე აკეთებს ზოგიერთი გუდაუთელი ხელმძღვანელი, მათ მიერვე უკანასკნელ ხანს გალის და სხვა რაიონებში დატრიალებული ტრაგედიები.

ჩვენი ქვეყნისათვის ამ ურთულეს ვითარებაში ყველა ჩვენგანმა, მოქალაქემ და ჯარისკაცმა, დიდმა თუ პატარამ, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენს მშობლიურ კერაში დაბრუნების საწინდარია აფხაზეთის და მთელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური ძალების გაერთიანება, ერთმანეთთან დაპირისპირებისა და უნდობლობის დაძლევა, უნდა მივმართოთ მთელ ძალისხმევას და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სამშობლოს ერთიანობისა და განმტკიცების სანუკვარ მიზანს.

ჩვენ თხოვნით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს, ეროვნულ-პარტიულ ძალებს, პარტიებსა და საზოგადოებებს მეტი კონკრეტულობა და ერთიანობა გამოიჩინონ აფხაზეთის პრობლემების დროულ და ოპერატიულ გადაწყვეტაში, სამშობლოს ავტორიტეტის ამაღლებასა და მისი ძლიერების მიღწევასა და განმტკიცებაში.

მთელი ჩვენი ძალები და ენერგია უნდა მოვახმაროთ სეპარატიზმის, ექსტრემიზმისა და ფაშისტური გამოვლინებების რეალური საშიშროებისაგან საქართველოს განთავისუფლებასა და გაწმენდას, ამ საშინელი რეციდივებისაგან მომავალში მის დაცვას, საქართველოში ურთიერთგაგების, ურთიერთგატანის, აქტიური და ნაყოფიერი შრომის ატმოსფეროს შექმნას, აფხაზეთის აღდგენასა და აყვავებას ერთიანი საქართველოს ფარგლებში მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

მოქალაქეთა კავშირი მოწადინებულია მომავალში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისეთი პოლიტიკური მოწყობისათვის, მისი ისეთი სტატუსის შექმნისათვის, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს დღევანდელ ნორმებს, აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესებს, ყველაფერს იღონებს ადამიანის უფლებათა დასაცავად საჭირო პირობების შექმნისათვის.

მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის, მისი თითოეული წევრის პრაქტიკულ-ორგანიზაციული, იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს ამ ურთულესი და უდიდესი ამოცანების უთუო შესრულებას.

მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის წევრები თავიანთ თანამდგომებთან და თანამოაზრეებთან, რესპუბლიკის მოქალაქეებთან ერთად იშრომებენ და იბრძოლებენ, ყველაფერს იღონებენ, რათა ხორცი შეესხას მათ მიერ დასახულ ამაღლებულ და კეთილშობილ მიზნებს, ეჭვგარეშეა, უსათუოდ მივაღწევთ მათ და აუცილებლად გავიმარჯვებთ კიდეც.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების მონაწილენი.

1994 წლის იანვარი,
ქ. თბილისი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პრეზიდენტი ბილ კლინტონი კმაყოფილია

„ყველა ჩვენი იმედი გამართლდა“, — ასე შეაფასა კვირას თავისი დიდი ევროპული მოგზაურობის შედეგები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. „უდავოდ შემიძლია ვთქვა, რომ მივაღწიეთ ჩვენს მიზნებს“, — განაცხადა მან სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალურ თვითმფრინავში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომლითაც იგი ჟენევიდან ამერიკის დედაქალაქში დაბრუნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თქვა, რომ „მეტად არის აღფრთოვანებული“ იმით, თუ როგორ აღიქვეს მის მიერ წამოყენებული პროგრამა „მშვიდობისათვის პარტნიორობა“ ბრიუსელში გამართულ ნატოს საბჭოს საგანგებო სესიაზე. მის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს აღმოსავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც, აღნიშნა კლინტონმა.

თუ განაგრძობენ რეფორმებს

„მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამა არის ევროპის კონტინენტზე „გარანტირებული უსაფრთხოების“ დამყარების გზა, განაცხადა კვირას ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა. ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო ასპექტი ის არის, აღნიშნა მან, რომ რუსეთს, უკრაინასა და ნებისმიერ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანას აქვთ შესაძლებლობა შეუერთდნენ მას, თუ განაგრძობენ რეფორმების გზით სიარულს. „მაგრამ, თუ ისინი ზურგს შეაქცევენ მას, მაშინ, ვფიქრობ, ნატო იძულებული გახდება განიხილოს საკითხი უსაფრთხოების ბარიერის შექმნის შესახებ“, — ხაზი გაუსვა მან.

განიხილავენ დამატებითი დახმარების საკითხს

კარდინალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში ხელშეწყობის გასაწევად რუსეთისათვის დამატებითი დახმარების მიცემის შესაძლებლობას განიხილავენ უახლოეს ხანში „შვიდეულის“ ქვეყნები. ეს საკითხი თებერვლის დამდეგს „შვიდეულის“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მეთაურების შეხვედრის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იქნება, წერს იაპონიის წამყვანი ეკონომიკური გაზეთი „ნიხონ კეიძაი“, რომელიც საერთაშორისო საფინანსო წრეების ინფორმირებულ წყაროებს იმოწმებს. ვაშინგტონმა მოუწოდა „შვიდეულის“ ყველა ქვეყანას განიხილონ რუსეთის რეფორმებისადმი მხარდაჭერის ღონისძიებათა გაზრდის შესაძლებლობა.

ევროპარლამენტის სესია

სტრასბურგის ევროპის სასახლეში დაიწყო ევროპის პარლამენტის მორიგი სესია. მისი მონაწილეები იხილავენ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების შემდგომი ფინანსურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამების პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ევროპის გაერთიანების ერთიანი მოქალაქეობის დამტკიცებისა და მესამე ქვეყნების იმ მკვიდრთა სტატუსის შემუშავების საკითხებს, რომლებიც კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ნახევარკუნძული უბირთვო ზონა უნდა იყოს

კლინტონის ადმინისტრაცია „ჩრდილოეთ კორეას არ მისცემს უფლებას იმუშაოს ბირთვული ბომბის შექმნაზე“, — განაცხადა კვირას ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა.

„მეც და პრეზიდენტმა კლინტონმაც წინათ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი მიზანია არ დავუშვათ ჩრდილოეთ კორეამ განახორციელოს ბირთვული პროგრამა, — აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა, — მთელი ჩვენი პოლიტიკა ფხენიანის მიმართ ამას ისახავს მიზნად. ამიტომ მოვითხოვთ, რომ მოეწყოს საერთაშორისო ინსპექციები. ჩვენი პროგრამის მეორე ნაწილია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეებს შორის კონსულტაციების მოწყობა, რომელთა მიზანი ის იქნება, რომ კორეის ნახევარკუნძული უბირთვო ზონა იყოს.

თუ ორივე მხარე შეთანხმდება

ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია განიხილოს საკითხი გოლანის მაღლობების ნეიტრალურ ტერიტორიაზე თავისი ჯარების გაგზავნის შესახებ, რათა იქ სამშვიდობო მისია განახორციელოს. ეს განაცხადა კვირას ბილ კლინტონმა. მაგრამ, როგორც კლინტონმა თქვა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ორივე მხარე“ — სირია და ისრაელი „შეთანხმდებიან და მოისურვებენ“ ამერიკის მონაწილეობას.

პირველი პრეზიდენტი

ჩრდილოეთ ოსეთის პირველი პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ახსარბეკ გალაზოვი.

16 იანვარს გამართულ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის დაახლოებით 55 პროცენტი. გალაზოვს ხმა მისცა ფარული კენჭისყრისათვის სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა.

გახსნილია უზარმაზარი ძველი გვირაბი

როგორც ჩანს, ჩინელები არა მარტო 1966-1976 წლების „კულტურული რევოლუციის“ დროს „თხრიდნენ გვირაბებს“, რასაც ზესახელმწიფოთა საფრთხით ასაბუთებდნენ. ჩრდილოეთ ჩინეთის ჰებეის პროვინციაში დამთვალიერებელთათვის გაიხსნა გვირაბი, რომელიც, სამხედრო საჭიროებისათვის აშენებული იყო ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ. ჩრდილოეთ სუნის დინასტიის მხედართმთავარმა იან იანჯაომ (960-1026 წლები) იგი ლიაოს სამეფოს წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებისათვის გამოიყენა.

ძველებური გვირაბი უზარმაზარი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. მისი სიგრძე 20 კილომეტრია, იგი მდებარეობს ოთხ მეტრ სიღრმეზე. გვირაბის შიგნით არის ვრცელი დარბაზები, რომლებშიც შუასაუკუნეების ჩინელი მეომრები ისვენებდნენ და ბრძოლებისთვის ემზადებოდნენ ხოლმე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მძიმე პრობლემა

პურის რიგები მოვიცილეთ, ახლა რისი რიგია?

ამ ერთი თვის წინათ, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ პურის რიგებს ასე უბოდიშოდ დავემშვიდობებოდით. არ დავმალავ, ურწმუნოთა შორის მეც ვიყავი. ერთ ჩემს იუმორისტულ წერილში იმასაც კი ვამბობდი, მერიას რა დაეჭირება, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ, ოფლითა და სიმწრით მოპოვებული რიგები არ დაგვეკარგოს-თქო. „საფრთხეს“ მაინც ვერ ავცდით — ერთ მშვენიერ დღეს პურის რიგები ცუდად გამომწვარი აგურივით დაიშალა...

— ხალხმა ხომ მოისვენა და მოისვენა, — მეუბნება თბილისის მეხუთე პურის ქარხნის დირექტორი თემურ კენჭაძე, და რაღა დაგიმალოთ, ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ. ვიღა არ აწყდებოდა ქარხნის კარს — ფორმიანი თუ უფორმო, იარაღიანი თუ უიარაღო, წესიერი თუ უწესო. ისინი საწარმოში ძალით იჭრებოდნენ, გვემუქრებოდნენ, გვლანძღავდნენ, მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდნენ.

ახლა ყველაფერი ერთგვარად დალაგდა. ქარხანა დავალებით გათვალისწინებულ პურს (50 ტონა) აცხობს, ტრანსპორტს იგი გრაფიკით დადგენილ საათებში მაღაზიებში გადააქვს, მოსახლეობა თავის კუთვნილ პურს ღებულობს და სადავო და საჩხუბარიც არაფერი აქვს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სატალონო სისტემის შემოღებამ გააკეთა.

— და მაინც, ზოგჯერ ალბათ უკმაყოფილოც გამოჩნდება ხოლმე. ერთი ასეთი რეპლიკა ჩვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა. თურმე ქალაქის მერიამ თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯის სტუდენტთა სასადილოს პურით უზრუნველყოფა დაგვავალათ, თქვენ უარზე ყოფილხართ.

— დამაწყნარით, თორემ მე თვითონ ვაპირებდი მეთქვა, რომ ის ინფორმაცია სიმართლეს მოკლებული იყო. ჩვენ დავალებული გვაქვს დიდუბის რაიონისა (მთლიანად) და საბურთალოს რაიონის (ნაწილობრივ) მაღაზიებს გარდა პურით უზრუნველვყოთ იმ საწარმო-დაწესებულებათა სასადილოები, რომელთა ჩამონათვალი თბილისის მერიამ და დიდუბის რაიონის გამგეობამ შეადგინეს. მანქანათმშენებლობის კოლეჯი ამ ჩამონათვალში არ შედის და მასზე პურს რა უფლებით გავცემდი?

— მაგრამ ხომ შეიძლება ჩამონათვალში მანქანათმშენებლობის კოლეჯიც შეიტანონ?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს რაიონულმა გამგეობამ და არა პურის ქარხანამ. თუ ასეთი დოკუმენტი შეიქმნება, ჩვენ პურს გავცემთ, ოღონდ იგი, როგორც წესი, კოლეჯმა საკუთარი ტრანსპორტით უნდა გადაიტანოს.

— პურის ქარხანა გრაფიკს თუ იცავს?

— პირველ ხანებში იყო დარღვევები, მაგრამ შემდეგ ხელახალი გრაფიკი გაკეთდა, რამაც სიტუაცია სასიკეთოდ შეცვალა. საქმე ის გახლავთ, რომ თავდაპირველად მაღაზიაში მთელი დღის ნორმა ერთჯერად შედიოდა, რაც იწვევდა ტრანსპორტის დაყოვნებას (პურის გადაცლას დიდი დრო სჭირდებოდა) და სხვა მაღაზიების მომხმარებელთა უკმაყოფილებას. ახლა ავტომანქანას ერთდროულად პური რამდენიმე მაღაზიაში შეაქვს, თანაც დღეში ორსამჯერ. გრაფიკიც აღარ ირღვევა და მოსახლეობასაც შესაძლებლობა ეძლევა ყოველთვის ახალი პურით იკვებოს.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი საათივით აწყობილი გვქონდეს. უსაწვავობისა თუ სათადარიგო ნაწილის უქონლობის გამო ზოგჯერ ტრანსპორტი იგვიანებს, ზოგჯერ კიდევ სხვა მიზეზი აფერხებს გრაფიკის დაცვას. როგორც ჩანს, ასეთ მიზეზებს ერთბაშად თავს ვერ დავაღწევთ და მოსახლეობა ამას გაგებით უნდა შეხვდეს.

ჩვენც გულისყურით მოვეკიდებით მათ პრობლემებს. ამას წინათ ერთი ქალბატონი მოვიდა ქარხანაში განცხადებით: ორსულიანი ოჯახი ვართ, ტალონით გათვალისწინებული ნორმა არ გვეყოფნის და ეგებ რაიმე მოგვიხერხოთო, რა უნდა მექნა? ქართული პურის საცხობს ვთხოვე იმ ქალბატონს დღეგამოშვებით დამატებით თითო პური მისცენ.

— ღმერთი დაგიმადლით, ბატონო თემურ, ამ სიკეთეს. თუმცა ერთიც საკითხავია: იმ ოჯახების დაკმაყოფილებას როგორღა ახერხებთ, რომელთაც სარიტუალო სუფრა აქვთ?

— მათივე სურვილის მიხედვით (ზოგს შოთი პური ურჩევნია, ზოგს — ქართული ლავაში), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლავაშში ჩვეულებრივ ფასს იხდიან, შოთში კი კომერციულს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, რაიონული გამგეობიდან მიღებული მოწერილობის საფუძველზე კეთდება.

— პურის ფასზე აღარავინ დავობს (მთავრობა კომპენსაციას იძლევა), მაგრამ მისი ხარისხი რომ ვერც ერთ ნორმაში ვერ ეტევა, ამის თაობაზე რას გვეტყოდით?

— მხოლოდ ერთს (საუბარში ერთვება ქარხნის ლაბორატორიის უფროსი ლამარა ბეჟანიძე) თვითონ ფქვილია უხარისხო და მისგან ხარისხიან პურს როგორ გამოაცხობთ? ვცდილობთ, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევთ.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, სულ ასე არ იქნება.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ახლო მომავალში უკეთეს ფქვილს ველოდებით. ვნახოთ.

• • •

ვნახოთ. მომავალი კიდევ არაერთ სიურპრიზს შემოგვთავაზებს. დღეს კი უმთავრესი ის გახლავთ, რომ პურის გაუთავებელი რიგები გზიდან ჩამოვიცილეთ, ამაში გადამწყვეტი როლი, ჩემი აზრით, იმან შეასრულა, რომ თბილისში გამომცხვარი პური რაიონებში აღარ გაიზიდება. ახლა დედაქალაქში რაც პური ცხვება, აქვე რჩება და ხმარდება მოსახლეობას, ამას ემატება ფქვილის ის რაოდენობაც, რომელიც თითოეულ სულზე გაიცა. თუმცა, რად გვინდა თავი მოვიტყუოთ, დაპირებული ფქვილი ბევრს ჯერაც არ მიუღია (მაღაზიებს მათ ან არ აძლევენ, ან თუ აძლევენ, მათგან დამატებით თანხის გადახდას მოითხოვენ), რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

დიდი მადლობა, ბატონებო, ფქვილის ნორმირებული განაწილებისათვის, მაგრამ მიუღებლობისათვის პასუხი ვის მოვთხოვოთ? ეს საკითხი დღეს განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს, რამეთუ მომავალში პურის ნორმით გაზრდა ალბათ ფქვილის ხარჯზე მოგვიწევს (დედაქალაქის საცხობთა სიმძლავრე მეტს ვეღარ აუვა). ბოლოს და ბოლოს რეალობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, ახლა მეხუთე ქარხანაც და სხვა საწარმოებიც ზღვრული დატვირთვით მუშაობენ, რასაც ალბათ ყოველთვის ვერ გაუძლებენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ ამ ბოლო წლებში სათადარიგო ნაწილები საერთოდ არ მიუღიათ, პურის მრეწველობაში თრომბის წარმოქმნის აშკარა საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით. სხვას თავი გავანებოთ, საცხობებს მაღაზიებში პურის შესატანი ხონჩებიც აღარა აქვთ. ისინი დაძველდა, დაიმტვრა, ახლის გაკეთებისა და შემოტანისათვის კი არავინ ზრუნავს (მეხუთე ქარხანას, მაგალითად 400 ხონჩის ნაცვლად მხოლოდ 100 აქვს). თუმცა, როგორც შევიტყვე, — პურპროდუქტების კორპორაციას ახლახან საავიაციო ქარხნისთვის ასეთი ხონჩები შეუკვეთია.

არის სხვა პრობლემებიც, რომელთა გადაჭრა პურის ქარხნის კომპეტენციას სცილდება. ავიღოთ თუნდაც, რუხი პური (მაღაზიებში ზოგჯერ თეთრთან ერთად რუხი პურიც საკმაო რაოდენობით შეაქვთ), რომლის რეცეპტურას საწარმო ვერ შეცვლის. მაღაზიაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იყიდება თეთრი პური, შემდეგ რუხი, რომლის შეძენის სურვილი ბევრს არა აქვს. ამ დროს კი ქალაქში სხვა უბნებში დიაბეტით დაავადებულნი რუხ პურს სანთლით ეძებენ. ასეთ ვითარებაში ალბათ გონივრული იქნება რომელიმე ქარხანას დაევალოს რუხი პურის გამოცხობა და ქალაქის სხვადასხვა უბნების მომარაგება. შეიძლება მოინახოს სხვა გამოსავალიც — დიაბეტიანებს პირდაპირ შავი ფქვილი დაურიგდეთ.

უმთავრესი კი, როგორც ვთქვი, ის გახლავთ, რომ პურის ჯოჯოხეთური რიგები მოვიცილეთ. ეს ასეა, მაგრამ ახლა რისი რიგია? ალბათ უსუფთაობისა. ბოდიშს ვიხდი, პურთან ერთად ამ საკითხზე ლაპარაკი შეიძლება უხერხული იყოს. მაგრამ ეს ოხერი სიბინძურე ნამეტანი რომ გვაწუხებს?

დიდად გაჭირვებულები კი ვართ, მაგრამ აბა მივიხედ-მოვიხედოთ, — რა ხდება? მთელი ქალაქი ლამის ნაგავმა წალეკოს, მშველელი კი არსაიდან ჩანს. თუმცა, როგორც გავიგე (უფრო სწორედ, ტელევიზორით მოვისმინე), მერიას ამ პრობლემის მოგვარება და ანტისანიტარიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება გადაუწყვეტია.

ვითომ დავიჯეროთ?

პურის რიგების გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა დავიჯეროთ, თუმცა არდაჯერებაც გვეპატიება. ისეთ სახელმწიფოში, სადაც ბენზინით მოვაჭრენი ოქროს ზოდებს აგროვებენ, მერიას კი უსაწვავობით ნაგავი ვერ გაუტანია, ძნელია რაიმე დაიჯერო.

მაინც ვნახოთ!

ოთარ ხუციშვილი.

ადგილობრივი თვითმმართველობა

სენაკი ფეხზე დგება

ცნობილია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები — გამგეობები, მოწოდებული არიან უშუალოდ გადაწყვიტონ ეკონომიკური და პოლიტიკური, სოციალური, კრიმინოგენური მდგომარეობის გაჯანსაღების ყველა ძირითადი საკითხი. იმის შესახებ, თუ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეისთვის და როგორ წარმართავს თავის საქმიანობას რაიონის გამგეობა, ვესაუბრეთ სენაკის რაიონის გამგებელს გიორგი დგებუაძეს, რომელმაც თქვა:

— დასამალი არ არის, რომ უკანასკნელ პერიოდში რაიონში მმართველობის ერთიანი სტრუქტურა არ არსებობდა, და, აქედან გამომდინარე, ცხოვრება ინერციით მიმდინარეობდა, სახალხო მეურნეობის რაიმე მიზანმიმართულ ფუნქციონირებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

შედეგი?

გაჩერდა თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო და სამშენებლო ორგანიზაცია, არაორგანიზებულად, კანტიკუნტად მიმდინარეობდა მეცადინეობები სასწავლო დაწესებულებებში, ფუნქციონირება შეწყვიტა პოლიციის განყოფილებამ. ხელ-ფეხი გაეხსნა დამნაშავეთა სამყაროს. ამიტომაც, რომ ძარცვის, მკვლელობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, ყაჩაღობის, თუ სხვა დანაშაულობათა მრავალი ფაქტი, ყოველგვარი რეაგირების გარეშე იყო დარჩენილი.

რა დაგვიტოვა მემკვიდრეობით ექსპრეზიდენტის მომხრე ბანდების თარეშმა. სექტემბერ-ოქტომბრის საომარმა მოქმედებამ კი ვითარება კიდევ უფრო გააღრმავა, მთლიანად გაიძარცვა საწარმოებისა და ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა. ბევრი მათგანი ისეა დარბეული, რომ მათი ამოქმედება საერთოდ შეუძლებელია, სამწუხაროდ, განუკითხაობის პერიოდში, რაც მოთარეშე ბანდებს გადაურჩა, ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიტაცა, მაგრამ ყველაფერი ეს უმნიშვნელოდ ჩანს იმასთან შედარებით, რაც რაიონის მოსახლეობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაატყდა თავს ომის შედეგად: საერთოდ, უსახლკაროდ დარჩა ორასზე მეტი ოჯახი და სერიოზულად დაზიანდა 1200-მდე საცხოვრებელი სახლი, დაინგრა და დაიწვა ათობით საზოგადოებრივი შენობა. უხეში გაანგარიშებით მოყენებული ზარალი 250 მილიარდ კუპონს აღემატება.

რა კეთდება რაიონში ვითარების გაჯანსაღებისათვის?

— სტაბილიზაციის პროცესი ჯერ კიდევ ერთობ რთულად მიმდინარეობს, ეს მრავალი ფაქტორით არის განპირობებული.

მეტად მტკივნეულად მიდის კადრების ცვლა. არადა, სტაბილიზაციის მისაღწევად ამ პროცესის განხორციელება აუცილებელია. შეიცვალა პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელობა, სოფლის ოთხი გამგებელი, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, ეს პროცესი მომავალში მიზანმიმართულად გაგრძელდება.

პარალელურად, ვფიქრობთ, არსებითი ცვლილებები შევიტანოთ მმართველობის სტრუქტურაში, გაბედულად განვთავისუფლდით ზედმეტი რგოლებისგან, უფრო კონკრეტული და შინაარსიანი გავხადოთ მართვის ფორმები.

მთავარ პრობლემად ეკონომიკური აღორძინება და დისციპლინის განმტკიცება მიგვაჩნია. როგორც აღვნიშნეთ, საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობა, ჯერაც ვერ მუშაობს, ეს ძირითადად გამოწვეულია ელექტროენერგიის უკმარისობით, საწვავის და ნედლეულის მწვავე დეფიციტის გამო. საწარმოთა ხელმძღვანელებს წინადადება მივეცით, ძველი ეკონომიკური კავშირების აღდგენისათვის გამოძებნონ საშუალებები საწარმოო სიმძლავრის ასამოქმედებლად, რამდენიმე საწარმომ მუშაობა განაახლა (ხალიჩების კომბინატი, აგროსამშენებლო ფირმა „სენაკი“, ტარაშემკეთებელი საწარმო, ჩაის საწარმოები და ა. შ.), მაგრამ ელექტროენერგიის უკმარისობა აქაც მწვავედ მოქმედებს. განსაკუთრებით უჭირთ სამშენებლო ორგანიზაციებს, მასალების დეფიციტი აქ უფრო ხელშესახებია, ვიდრე სხვა დარგებში...

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისთვის, პოლიციის განყოფილებისა და კომენდატურის ერთობლივი მოქმედებით გაიხსნა არაერთი დანაშაული, დაკავებულია ბანდიტთა 11 ჯგუფი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემულია 160-ზე მეტი დამნაშავე.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა დამნაშავე ელემენტებისგან იარაღის ამოღებას, უკვე ამოღებულია 70-ზე მეტი ავტომატური იარაღი, ასობით ჭურვი და ა. შ. ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ბანდებს ჩამოერთვა ტანკი, ტყვიამფრქვევი, ათეულობით სხვა საბრძოლო აღჭურვილობა.

ამ დღეებში პოლიციისა და კომენდატურის მუშაკებმა ცხელ კვალზე დააკავეს ნოსირის პურის საცხობიდან გატაცებული 8 ტონა პურის ფქვილი, სოფელ კოტიანეთში ძმები ფაცურიების ოჯახებიდან ამოიღეს 5 ტონა ფქვილი.

მოსახლეობა გაგებითა და კმაყოფილებით აღიქვამს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას.

მთელს ჩვენს საქმიანობაში უმთავრესი ადგილი უკავია მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას. სირთულეების მიუხედავად ამ მიმართულებით ცოტა როდი კეთდება. იმთავითვე ამოქმედდა პურის საცხობები, წყალსადენი და სხვა კომუნიკაციები. ამჟამად კი ელექტროენერგიით მომარაგებაში ხშირი წყვეტილობის გამო, ქალაქში მხოლოდ ხიზნებისთვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ცხვება პური, ხოლო ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას დავურიგეთ ნორმით გათვალისწინებული სამ-სამი კილოგრამი ფქვილი, თითო კილოგრამი შაქარი. გარდა ამისა, სავაჭრო ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების მეშვეობით, შემოვიტანეთ ათობით ტონა კარტოფილი, კომბოსტო. ლტოლვილებს დაურიგდათ 36 ტონა პროდუქტები ჰუმანური დახმარების სახით, 10 მილიონზე მეტი კუპონი. შედარებით მოწესრიგდა პენსიის, ხელფასის გაცემა.

აღნიშნულის მიუხედავად ძალზე სერიოზულად გვესახება ხიზნების პრობლემა, რომელთა რაოდენობა 20 ათასს აღემატება. ზამთრის პირობებში ეს პრობლემა ერთ-ორად მძიმდება. თუმცა გულხელდაკრეფილი როდი ვართ, ვეცდებით ერთობლივი ძალით გადავიტანოთ ეს ზამთარი.

ნაწილობრივ აღდგა ტრანსპორტის მუშაობა. თბილისსკენ ყოველდღე დადის ავტობუსი. ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებები დაშორებულ სოფლებთან, მეზობელ რაიონებსა და ქალაქებთან ავტობუსების მოძრაობის აღსადგენად.

მუშაობს საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის არხები, მოსახლეობას შეფერხებით, მაგრამ მაინც მიეწოდება საფოსტო გზავნილები და ჟურნალ-გაზეთები. ჯერჯერობით ვერ ხერხდება ყველა სოფელთან სატელეფონო კავშირის დამყარება. მიზეზი აქაც საწვავის უკმარისობაა.

საომარ მოქმედებათა დროს სერიოზულად დაზიანდა ქალაქის მე-7, მე-8 და თეკლათის საშუალო სკოლების, პროფსასწავლებლის შენობები. მაგალითად, მე-8 საშუალო სკოლაში სამეცადინო ოთახების მესამედიც არ არის ვარგისი, სკოლების ძირითადი ნაწილი შეუმინავია, სამშენებლო მასალების მწვავე დეფიციტის გამო ვერ ვახერხებთ პირველი რიგის აუცილებელ სარემონტო სამუშაოთა ჩატარებასაც კი.

რაიონის მოსახლეობა სისტემატურად გრძნობს რესპუბლიკის მთავრობის ყურადღებას. სახელმწიფოს მეთაურის მითითებით შემუშავდა რაიონის მოსახლეობისთვის პირველი დახმარების გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად უკვე მივიღეთ გარკვეული რაოდენობის საწვავი, მინა, ელექტრომოწყობილობები, საავტომობილო ნაწილები, მაგრამ ეს მინიმალურადაც არ არის საკმარისი. განსაკუთრებით განვიცდით საავტომობილო მასალების დეფიციტს. მოსახლეობა დანგრეული სახლების აღსადგენად ჩვენგან მოითხოვს დახერხილ მასალას, შიფერს, აგურს, მაგრამ ვერ ვაკმაყოფილებთ.

კასპიდან მიღებული ერთი ვაგონი შიფერი იმდენად უხარისხო გამოდგა, რომ მისი დაცლაც კი შეუძლებელი გახდა.

მასალების უქონლობის გამო, ვერც დანგრეული საწარმოების აღდგენითი სამუშაოების დაწყებას ვახერხებთ.

ამ რთულ პერიოდში ყოველმხრივ მხარში გვიდგას და დახმარებას გვიწევს დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტი, მისი თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე. აქ სისტემატურად ვიკრიბებით, ვაანალიზებთ გაწეულ მუშაობას, ისახება კრიზისიდან გამოსვლის პრაქტიკული გზები, განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობთ მოსახლეობისა და ხიზანთა სოციალური პირობების გაუმჯობესების საკითხში. ვფიქრობ, ეს მუშაობა მომავალში უფრო შინაარსიანი და მიზანმიმართული გახდება.

ესაუბრა
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია 93

ბაგრატის ტაძრისა და მისი კომპლექსის აღორძინების ფონდის დაარსების აღსანიშნავად

უამინდობის მიუხედავად, კვირა დღეს — 16 იანვარს — ბაგრატის ტაძრისა და მისი კომპლექსის აღორძინების საზეიმო ცერემონიალმა დიდძალი ხალხი შეკრიბა ათასწლოვანი ტაძრის ეზოში.

ფონდის დაფუძნების საზეიმო ცერემონიაზე მონაწილეობის მისაღებად ქუთაისს ეწვია უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ქუთაისში ჩამოვიდნენ პარლამენტარები, მინისტრები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები...

ფონდი დალოცა და შეკრებილთ ეს ბრწყინვალე დღე მიულოცა ილია მეორემ, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ ეს დღე საფუძველს დაუდებს მშვიდობას და აღმშენებლობას ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე.

შემდეგ ზეიმმა ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გადაინაცვლა.

„სიმბოლურია, — თქვა თავის გამოსვლაში ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა, — რომ ყველა ქართველისათვის ამ წმინდა ადგილზე ბაგრატის ტაძრის კედლებში ჩაეყარა საფუძველი ფონდს, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ათასი წლისთავის, გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების და თვით ერთიანი საქართველოს სიმბოლოს ბაგრატის ტაძრის ათასწლოვანი იუბილეს სამზადისში, ვფიქრობ 1995 წლის ბოლომდე, როცა ეს ზეიმი შედგება, თვით ტაძარი, ქუთაისი და მთლიანად საქართველო თითოეული ჩვენთაგანის მცდელობით ჭეშმარიტად აღორძინებული იქნება.

ყველაფერ ამაში თქვენ თანადგომასთან ერთად იმედს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი უკვე იუნესკოს მფარველობაშია“.

ამავე მიზნით ჩატარდა აგრეთვე ამ დღეს გამართული მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვები, შეხვედრები, წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებანი.

მ. კილაძე-ზერვაშიძე.

◆

მიტინგი ჩაეშალათ...

15 იანვარს ნაშუადღევს საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა სცადეს მიტინგი მოეწყოთ მთავრობის სახლთან, მაგრამ ჩანაფიქრის ხორცშესხმის საშუალება არ მისცეს მართლწესრიგის დამცველებმა. არავინ დაზარალებულა და არც არავინ დაუკავებიათ.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის კომენდანტმა ზაზა ჩაჩუამ აცნობა, სანამ მოქმედებს საგანგებო ვითარების წესები და კომენდანტის საათი, მოქალაქეთა მასობრივი სვლა, თავყრილობები ქუჩებში აღიკვეთება მათი პოლიტიკური ორიენტაციისა თუ მიმართულების მიუხედავად.

◆

ანჟეს ფესტივალზე

საფრანგეთის ქალაქ ანჟეში გაიმართება პირველი ფილმის ტრადიციული კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ოცდაათზე მეტი ქვეყნის კინოსკოლის აღზრდილები. დათვალიერებაზე ქართულ კინოსკოლას წარმოადგენენ რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სტუდენტები ამირან ჭიხინაშვილი — მულტიპლიკაციურ ფილმს „კაცუნა“ — [illegible] ამასწინანდელი ფესტივალის გამარჯვებულია, — და გიორგი [illegible] — მოკლემეტრაჟიან [illegible] ფილმს „[illegible]“.

მარჯი სიკეთეს! მარჯი სიყვარულს! მარჯი საქართველოს!

ქართული თეატრის დღე ბათუმში აღინიშნა

უკვე ოცი წელია, რაც ქართული თეატრის დღე — 14 იანვარი ყოველწლიურად აღინიშნება სხვადასხვა ქალაქში. ამა თუ იმ ქალაქზე არჩევანი კი შემთხვევითი როდია, იგი დაკავშირებულია ხოლმე რაიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან ან თარიღთან.

წლეულს რომ ამ დღის მასპინძლად ქალაქი ბათუმი შეირჩა, ესეც ბუნებრივია, ახლა, როცა ჩვენი დღევანდელობა, დუხჭირი ეკონომიკური და მძიმე სოციალური ყოფა ისევ და ისევ ჩაგვაფიქრებს კულტურის ბედზე, მის მომავალზე, ახლა როცა ასე დასუსტებულია საერთოდ ქართული კულტურის და კერძოდ ჩვენი თეატრის სასიცოცხლო ენერგია, როცა ისეთი შეგრძნებაა, რომ ღმერთსაც და კაცსაც დავიწყებია თეატრების ბედი, სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს ბათუმში საფუძველი ეყრება საოპერო თეატრს. ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ბრწყინვალე წარმოდგენით ხომ მესამე საოპერო თეატრის ისტორია დაიწყო საქართველოში. ეს უდავოდ ძალზე საგულისხმო, ანგარიშგასაწევი და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისტორიული მოვლენაა.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებულ ზეიმზე ჩამოსული საზოგადოებრიობისთვის ნათელი გახდა, თუ რატომ მიმდინარეობს აჭარაში კულტურული ცხოვრება უფრო ძალუმად. ყველასათვის აშკარაა და ვაფასებთ კიდეც, რომ ეს განაპირობა აჭარაში შენარჩუნებულმა სტაბილურმა ცხოვრებამ და ისეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლიმატის შექმნამ, რომელიც ხელს უწყობს სულიერ ღირებულებათა დაცვას, გადარჩენას, ამაღლებას.

აჭარის ხელმძღვანელობას კარგად ესმის საერთო გასაჭირი, მაგრამ ჩანს ისიც კარგად ესმის, რომ ის ქვეყანა, სადაც უგულვებელყოფილია კულტურისადმი ზრუნვა და მფარველობა, უცილობლად დაღუპულია. ისე არავინ უნდა წარმოიდგინოს თითქოს აჭარის კულტურის კერებს არავითარი გასაჭირი და პრობლემა არ გააჩნიათ, არა, აქაც ისევე უჭირთ როგორც სრულიად საქართველოში, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კულტურის კერების მიმართ უყურადღებობა და გულგრილობა არ იგრძნობა, ასეთი დამოკიდებულება კი ხელოვნების მსახურთ რწმენით და იმედით აღავსებს. ამის დასტურად გამოდგება ბათუმელთა საყვარელი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის იური ცანავას წერილი „სიყვარული გადაარჩენს ხელოვნებას“ (გაზეთი „აჭარა“ 14 იანვარი, 1994 წ.). იგი აჭარის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე მეტყველებს — „მე როგორც ხელოვანი, საოცრად ბედნიერი ვარ, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ასე ზრუნავენ ქართულ თეატრზე, ლიტერატურასა და კულტურაზე“.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში 14 იანვარს ჭეშმარიტი დღესასწაული შედგა, დარბაზში ბათუმელ მაყურებელთან ერთად იჯდა ჩვენი თეატრალური და ინტელექტუალური ელიტა — ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, გურამ სალარაძე, ალექსანდრე ქანთარია, აკაკი ძიძიგური, მარიკა ლორთქიფანიძე, რევაზ ჯაფარიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ლევან სანიკიძე, ნოდარ გურაბანიძე, ვასილ კიკნაძე, ლია სტურუა, ელგუჯა ამაშუკელი, სულხან ნასიძე და სხვანი...

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ დამსწრეთ მიულოცა ქართული თეატრის დღე, ილაპარაკა ამ დღის მნიშვნელობაზე, იმ გასაჭირზე რაც უდგას ქართულ თეატრს, რომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ მის გადარჩენაზე, თორემ მერე წარმოუდგენლად ძნელი იქნება დაკარგული პროფესიული დონის აღდგენა. მან მოღვაწეთა კავშირის საპატიო სიგელები გადასცა ალექსანდრე ხომერიკს, გიზო ჟორდანიას, დავით მუქერიას, მირიან შველიძეს, ეშანგი იმერლიშვილს და ბექარ მონავარდისაშვილს — ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლ „აბესალომ და ეთერის“ დამდგმელ კოლექტივს. მანვე საზოგადოებრიობას ამცნო ყოველწლიური კონკურსის „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოებების“ გამარჯვებულნი. წლეულს ეს პრემია წილად ხვდათ **პიესისათვის — ოთარ ჭილაძეს** — „ლაბირინთი“ — განხორციელებული თბილისის ახმეტელის სახელობის თეატრში; **რეჟისორული ნამუშევრისათვის — ენვერ ზაიძეს** — „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმისათვის ბათუმის თეატრში. **გოგი გაბელაიას** — „სიყვარული თელებქვეშ“ დადგმისათვის სამაჩაბლოს თეატრში, **თამაზ ბოლქვაძეს** — ბათუმის თოჯინების თეატრში შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

— **ბესო კუპრეიშვილს** — ბათუმში საბავშვო თეატრ-სტუდიის შექმნისათვის...

ბათუმში გატარებულმა ორმა დღემ ბევრი საინტერესო ამბის მოწმე გაგვხადა. აქ ნანახმა და განცდილმა მდიდარი შთაბეჭდილებებით აგვავსო, სამხატვრო გალერეაში ვნახეთ შესანიშნავი გამოფენა „მოსვლა ფერების“, იგი მოეწყო ასლან აბაშიძის ფონდის მეოხებით. ექსპონირებულია სხვადასხვა თაობის ბათუმელ მხატვართა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები; ცალკე აღნიშვნის ღირსია ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბენდელიანის მიერ შედგენილი კატალოგი, რომელიც დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ბათუმელთა ბოლო დროის თეატრალური ნაწარმოებები „სამანიშვილის დედინაცვალი“ დრამატულ თეატრში, „კაცია-ადამიანი“ და „წითელქუდა“ თოჯინურ თეატრში, „თითები“ — ეს უჩვეულო სანახაობა მსახიობის სახლთან არსებულ თეატრ-სტუდიაში.

აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს ნინო ანთიძე, ბათუმის თოჯინების თეატრის ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც განგვაცვიფრა ხალასი ნიჭიერებით, ეს არის ერთი მსახიობის თეატრი. ნინო ანთიძის საოცარი გარდასახვა, სხარტი აზროვნება, იუმორი და ცხოველი ფანტაზია, მართლაც რომ თეატრალურ სასწაულთა რიგს მიეკუთვნება, იგი უდიდეს სიხარულს, სიხალისეს გადასდებს მაყურებელს, მარტო ბავშვებისათვის კი არა, უფროსებისათვისაც უაღრესად საინტერესო და სასიამოვნო სანახაობა გახლავთ. ნინო ანთიძის ხელოვნება ოვაციით დააჯილდოვა ყველაზე „კრიტიკულმა“ მაყურებელმა, ბევრი აღფრთოვანებული შეფასება მოვისმინეთ, ითქვა ისიც, რომ მისი ნიჭი მეტ ყურადღებას და დაფასებას საჭიროებს.

ჩემი მხრივ კი ვისურვებდი „წითელქუდა“ თბილისშიც ენახოთ, ჩაიწეროს ტელევიზიამაც, რომ მთელი საქართველოს ბავშვებმა გაიხარონ. ეს მრავალმხრივი მსახიობი ნამდვილად იმსახურებს ამგვარ პატივს.

უჩვეულო სანახაობაა „თითების თეატრი“, რომლის პრეცედენტი ალბათ, არ მოიპოვება თეატრალურ სამყაროში; მისი სულისჩამდგმელია ბათუმელი ახალგაზრდა ბესო კუპრეიშვილი. უაღრესად ორიგინალური, მიმზიდველი ნამუშევარი ნათლად ავლენს ნოვატორი ხელოვანის ძიებებს, მაღალ გემოვნებას. საინტერესოდ გვეჩვენება ამავე სტუდიაში განხორციელებული „ცოცხალი სურათები“, რომელშიც ბავშვები სხვადასხვა ეპოქის და კლასიკოს მხატვართა სურათებს აცოცხლებენ.

ფრიად საწუხარია, რომ მდიდარი ტრადიციების ბათუმის დრამატული თეატრი დღესდღეობით ღრმა შემოქმედებით კრიზისს განიცდის, ვერ მოიძებნა რეჟისორი ლიდერი, დასის ღირსეული წინამძღოლი, რომელიც განკურნავდა მძიმე ხავადმყოფობიდან, ბოლო წლებში ქრონიკული ხასიათი რომ მიიღო. საჭიროა ამ თეატრის პრობლემასთან უფრო ახლოს მისვლა, გულდაგულ გასინჯვა, დახმარება; ისევე როგორც საოპერო თეატრის გახსნაში, აქაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა და საქმე ეკუთვნის აჭარის ხელმძღვანელობას. გვჯერა, რომ ისინი თავიანთი ჩვეული ყურადღებით ახალ სიცოცხლეს შთაბერავენ მინავლებულ დრამატულ თეატრს.

ბათუმურმა ქართული თეატრის დღემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სულიერების კრიზისის ჟამს განუზომელია კულტურის, ხელოვნების მისია, რასაც ძალუძს აღუდგინოს ერს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, აღგვავსოს იმის იმედით, რომ ამიერიდან მაინც დაიწყება აღმშენებლობა და მას სწორედ წლევანდელი წლიდან დაედება სათავე.

ამ დღეებში ბათუმში გამოიცა ახალი სახელოვნო ჟურნალი „მარჯი“ (რედაქტორი ეთერ ხომერიკი) რომლის წინათქმით გვინდა დავასრულოთ ჩვენი წერილი:

„მარჯი საქართველოსო“ — უბრძანებია გრიგოლ რობაქიძეს. მარჯი ხომ გამარჯვების ფუძეა, როგორც ხარება გახარებისა და ნათელი განათლებისა.

საქართველოს ისტორიაში უამრავია მაგალითი, როცა თითქოს და გამოუვალი მდგომარეობა იქმნებოდა. ერი ეცემოდა, ნაცურდებოდა ყოველივე ღირებული, ზეიმობდა გაუტანლობა, შური, მტრობა, ღალატი და ფარისევლობა, მაშინ გამოჩნდებოდა რომელიმე კუთხე ჩვენს მადლმოსილ მიწაზე, სადაც იწყებდა გაღვივებას თესლი სიყვარულისა, შენებისა, ქველმოქმედებისა, სიმართლის ქმნისა...

შევეჭიდოთ ერთურთს სიყვარულში და არა სიავის ქმნაში, გამოვაჩინოთ ჩვენი შინაგანი სიმაღლენი.

მარჯი სიკეთეს!
მარჯი სიყვარულს!
მარჯი საქართველოს!“.

გიორგი ლალიაშვილი.

* * *

სურათზე: პრემიების გადაცემის ცერემონიალი.

ახალი დიდი აღიარება

მაია ჩიბურდანიძე — მსოფლიოს № 1 მოჭადრაკე ქალი

1993 წლის საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრება აღსავსე იყო პრესტიჟული ტურნირებით. მრავალმა გამოჩენილმა დიდოსტატმა ისახელა თავი. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონმა სე ცზიუნმა მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მიუხედავად ამისა, ფიდემ (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) 1993 წლის მსოფლიოს №1 მოჭადრაკე ქალად მაია ჩიბურდანიძე გამოაცხადა.

შარშან სასიქადულო მოჭადრაკემ სამ დიდ ტურნირში იასპარეზა. მაისში სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ მეორე საერთაშორისო ტურნირში, სადაც პრიზიორთა შორის იყო. ივნისში გაიმარჯვა ვენაში ეგრეთ წოდებულ „ქალბატონებისა და ბატონების“ ტურნირში, ხოლო ივლის-აგვისტოში ჯაკარტაში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის საგზურს დაეუფლა.

როგორც ჩანს, ფიდეს მესვეურებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაიას ბრწყინვალე წარმატებამ ვენაში, რომლის მსგავსი არავის უხილავს 1993 წელს. ამ შეჯიბრების შესახებ ქართულ პრესაში თითქმის არაფერი დაწერილა.

„ქალბატონებისა და ბატონების“ ტურნირის დამაარსებელი და მეცენატია ჰოლანდიელი საჭადრაკო მოღვაწე იოპ ვან ოსტერომი, რომელმაც მიზნად დაისახა ხელი შეუწყოს ქალთა ჭადრაკის წინსვლას. სხვათა შორის, იგი იყო ჟუჟა პოლგარისა და სე ცზიუნ-ნანა იოსელიანის მატჩების ორგანიზატორი და მასპინძელი მონტე-კარლოში. როგორც წესი, „ოსტერომის ტურნირში“ მონაწილეობენ მის მიერ მიწვეული თანამედროვეობის ექვსი უძლიერესი დიდოსტატი ქალი და წარსულში გამოჩენილი ამდენივე დიდოსტატი ვაჟი, რომელთაც მსუყე პრიზები ელით. შეჯიბრება შევენინგენის სისტემით ტარდება, ესე იგი, თითოეული ქალი ორ-ორჯერ ხვდება ყველა ვაჟს, და პირიქით. ქალები, ასევე ვაჟები, ერთმანეთში არ თამაშობენ. ასეთ პირველ ტურნირში, რომელიც 1992 წელს გაიმართა, კარიბის ზღვის კუნძულ არუბაზე, გაიმარჯვა ჟუდით პოლგარმა (7,5 ქულა 12-დან). გუნდური შეხვედრა ვაჟებმა მოიგეს — 39:33.

ვენის ტურნირში მონაწილეობდნენ: ქალები — სე ცზიუნი (ჩინეთი), ჟუჟა და სოფი პოლგარები (უნგრეთი), მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან არახამია და ალისა გალიამოვა (უკრაინა); ვაჟები — ვასილ სმისლოვი, ეფიმ გელერი (რუსეთი), ბენტ ლარსენი (დანია), ფრიდერიკ ოლაფსონი (ისლანდია), ბორა ივკოვი (იუგოსლავია) და ანდრიას დიუკშტეინი (ავსტრია).

ამჯერად გუნდური შეხვედრა მოიგეს ქალებმა — 40,5:31,5. თითოეულმა კი ასე დაასრულა პაექრობა: ჩიბურდანიძე — 9 ქულა 12-დან, ჟუჟა პოლგარი — 7,5, სე ცზიუნი — 7, სოფი პოლგარი — 6, არახამია, გალიამოვა, — 5,5-5,5. ვაჟებში პირველი იყო ლარსენი — 7,5.

დიდი ოსტატობით ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ. მან მოუგო მინი-მატჩები ლარსენს, დიუკშტეინს (თითოეულს ანგარიშით 2:0), ივკოვს, ოლაფსონს (თითოეულს — 1,5:0,5) და ყაიმით (1:1) დაამთავრა შეხვედრები სმისლოვთან და გელერთან.

ფიდემ ღირსეულად შეაფასა მაიას ეს თვალსაჩინო წარმატება.

1994 წელიც აღსავსეა დიდი და საინტერესო ტურნირებით. აი, რა გვიამბო მაიამ თავის გეგმებზე:

— ბევრ ტურნირში ვარ მიწვეული, მაგალითად, იანვრის დამლევს ესპანეთში, მაგრამ ხუთ ტურნირში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. მარტში ნონა გაფრინდაშვილი, სე ცზიუნი და მე მიწვეული ვართ მალაიზიაში, სადაც მინი-მატჩებში შევხვდებით დიდოსტატებს ეუგენიო ტორეს, ედუარდ გუფელდს და, ჯერჯერობით, ჩემთვის უცნობ ჩინელ დიდოსტატს. მაისში მოსკოვში ვითამაშებ ვერა მენჩიკის ხსოვნის დიდ შეჯიბრში, ივნისში ბატონ ვან ოსტერომის მესამე ტურნირში. ამჯერად, მასპინძელმა საასპარეზოდ ნანა იოსელიანიც მიიწვია. შემოდგომაზე მონაწილეობას მივიღებ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში, რომლის რვა მონაწილეთა შორის სამი ქართველი ვიქნებით — ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და მე. მნიშვნელოვან შეჯიბრებად მიმაჩნია, რა თქმა უნდა, ქალთა საერთაშორისო XVI ოლიმპიადა, რომელიც ამჯერად საბერძნეთში მოეწყობა.

საქართველოს ნაკრებს, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, მთელი ძალისხმევა დასჭირდება, რომ კვლავ გამარჯვებული დავბრუნდეთ შინ.

გუშინ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკის მაია ჩიბურდანიძის დაბადების დღე იყო, რასაც გულითა და სულით ვულოცავთ და მომავალ დიდ წარმატებებს ვუსურვებთ!

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ამ დღეებში
გვაცნობენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები
მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

ჩამოდიან ექსპერტები

ზ. გამსახურდიას სიკვდილის გამო

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ექსპრეზიდენტის სიკვდილისა და გადასვენების შესახებ ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიერ გავრცელებული ცნობების ხარწმუნოების გამორკვევის, აგრეთვე მისი გვამის ექსჰუმაციის მოწყობისათვის საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთაგან შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა განახორციელოს ზ. გამსახურდიას გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის მოწყობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან რუსეთის, გერმანიისა და ინგლისის დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ მოსკოვიდან თბილისში უკვე ჩამოვიდა რუსეთის ორი უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტი. უახლოეს დღეებში მოელიან ექსპერტებს გერმანიიდან და ინგლისიდან. მინისტრმა აღნიშნა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მოწყობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპეციალისტებს იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მათ შორის, იმ ექსპერტებსაც, რომლებსაც გამსახურდიას ოჯახის წევრები შემოგვთავაზებენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ავთანდილ მარგიანმა ჯერ კიდევ ამა წლის 12 იანვარს ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა იძლეოდა როგორც საექსპერტო კომისიის წევრთა, ისე ზვიად გამსახურდიას ნათესავთა უსაფრთხოების გარანტიას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კომისიის მუშაობაში, ჩეჩნეთის ხელმძღვანელობას კი აქვს უფლება საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანოს თავისი წარმომადგენელი.

ზ. გამსახურდიას ოჯახი მოითხოვს ცხედრის ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასვენებას

17 იანვარს თბილისში ედუარდ შევარდნაძის სახელზე გროზნოდან მოვიდა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და ჩეჩნეთის ვიცეპრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის დეპეშა.

ვაქვეყნებთ ამ დეპეშის ტექსტს:

საქართველო. თბილისი. მთავრობის სახლი. ბატონ შევარდნაძეს.

„საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადასვენების საკითხების გადასაწყვეტად გაცნობებთ გამსახურდიას ოჯახის პირობებს, რომლებზეც დამოკიდებულია გადაწყვეტილება გაიცეს წერილობითი დასტური პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნათა ქვემოაღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად:

1) მიეცეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად და დაუყოვნებლივ გადმოასვენონ ცხედარი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც დროებით ცხოვრობს ოჯახი;

2) მიეცეთ ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუყოვნებლივ გამოსვლის გარანტიები ოჯახს, სიკვდილის მოწმეებსა და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ცხედრის გადასვენებასთან დაკავშირებულ მოქმედებაში;

3) ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე;

4) პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა;

5) გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვს შექმნას საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც თვალყურს ადევნებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესრულებას. ოჯახი დაბეჯითებით მოითხოვს ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულებას უმოკლეს ვადაში. **მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ზ. იანდარბიევი“.**

დაგვეთანხმებით, კატეგორიული მოთხოვნები ბევრ ურთიერთგამომრიცხავ კითხვებს ბადებს, რომელთაც პასუხი გაეცა 17 იანვარს გვიან საღამოს გამართულ საქართველოს უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძისა და გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ჯამლეთ ბაბილაშვილის პრესკონფერენციაზე (პრესკონფერენციის შესახებ მასალა გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება).

* * *

იმავე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ავთანდილ მარგიანმა საპასუხო დეპეშით კიდევ ერთხელ დაუდასტურა ადრე მიცემული გარანტიები ცხედრის დაუბრკოლებლივ გადასვენების, ექსპერტთა კომისიის წევრების, ზ. გამსახურდიას ნათესავებისა და თანამებრძოლების უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც ჩამოვლენ ქალაქ გროზნოდან მიცვალებულის გადასვენების მიზნით. სიკვდილის ნამდვილ გარემოებათა დასადგენად, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ქართული მხარე თანახმაა შეიყვანოს საერთაშორისო კომისიაში სპეციალისტები, რომლებსაც ზ. გამსახურდიას ოჯახი და ჩეჩნეთის ოფიციალური ხელისუფლება დაასახელებს.

* * *

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოში მოიწვია საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი.

17 იანვარს თბილისში ჩამობრძანდნენ: გერმანიის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ვ. ბონტე, რუსი მეცნიერები, პროფესორები იგორ ბანოვი და ალექსანდრე ისაევი.

18 იანვარს ამავე ფაქტთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვა გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორი, სასამართლო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პათოლოგიათა კვლევის სამეფო საზოგადოების წევრი ბატონი პიტერ სავასზენცზისი.

საქინფორმი.

დინამოელთა გერმანული ბენეფისი

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები განაგრძობენ წარმატებით გამოსვლებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა სამშობლოში.

კიოლნში მინი-ფეხბურთელთა ტურნირში მოპოვებული წარმატების შემდეგ საქართველოს უძლიერესმა გუნდმა მიიღო ბუნდესლიგის ბინადარის, ამავე სახელწოდების ადგილობრივი კლუბის გამოწვევა და ამჯერად „მიუნგერსდორფერშტადიონის“ მინდორზე შეხვდა მას. დარბაზში გამართული მატჩისაგან განსხვავებით, მასპინძლებმა ამჯერად საპატიო შედეგს მიაღწიეს — 1:1. ორთაბრძოლა მხარეთა მოლაპარაკების თანახმად 60-წუთიანი გახლდათ.

შემდეგ მტკვრისპირელებმა ქალაქ ზოლინგენში იასპარეზეს და კიდევ ერთხელ მოიგეს შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ამასთანავე, გამარჯვებულებმა მთავარი ინდივიდუალური პრიზებიც დაიმსახურეს — ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს გოჩა ჯამარაული, ხოლო საუკეთესო ბომბარდირი გახდა რევაზ არველაძე.

მემედ აბაშიძის მემორიალი

ბათუმში დასრულდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ვეტერან ფეხბურთელთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, მოსკოვის, ბათუმის დინამოელები და აჭარის საბჭოს გუნდი. გათამაშების მთავარი ჯილდო ტყავის ბურთის თბილისელ ოსტატებს გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

აღსანიშნავია, რომ ძველი მეტოქეების — თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა ტრადიციულ პაექრობაში ქართველმა ვეტერანებმა შესძლეს უხერხული მოწინააღმდეგის დამარცხება — 3:1.

მდიდარი ნადავლი

შესანიშნავად დაიწყეს ახალი სეზონი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა. 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა ნაკრებმა. გუნდმა, რომელიც თანატოლთა შორის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება (ზაფხული, უნგრეთი), თურქეთის ქალაქებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში გუნდური გამარჯვება და 15 მედალი მოიპოვა.

ჩვენმა ფალავნებმა ჯერ სამსუნში დაიკავეს 6 საპრიზო ადგილი, ხოლო შემდეგ ანკარაში გადაინაცვლეს და იქ კიდევ უფრო შთამბეჭდავი შედეგი აჩვენეს — 10-დან ცხრამ მკერდი სხვადასხვა ხარისხის მედლით დაიმშვენა.

ხსოვნა

დიმიტრი ჯანელიძე

ქართულმა თეატრალურმა კულტურამ [illegible] მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართული თეატრის ისტორიის ღრმა მკვლევარი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, მწერალთა და თეატრის მოღვაწეთა კავშირების უხუცესი წევრი, მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი სევასტის ძე ჯანელიძე.**

დიმიტრი ჯანელიძე დაიბადა 1906 წელს ქ. ქუთაისში. 1924 წლიდან თბილისშია და იწყება მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა: თსუ-ს ლიტერატურის თეორიის კათედრაზე, ლიტერატურის ინსტიტუტში, 1939-40 წლებში იგი კოტე მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეა, და ამავე თეატრის სტუდიის დირექტორი, ხოლო შემდეგ თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივანი, ომის წლებში იყო რადიოკომიტეტისა და სამხედრო გაზეთის თანამშრომელი; გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ განყოფილების გამგე.

1939 წლიდან, როცა ა. ხორავას თავკაცობით აღდგა თეატრალური ინსტიტუტი, დ. ჯანელიძე მიიწვიეს პედაგოგად, მრავალი წლის მანძილზე იყო თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე, 1970 წლიდან თეატრისა და კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელი. მანვე შემოიღო თეატრალურ ინსტიტუტში ქართული თეატრის ისტორიის კურსის სწავლება და შექმნა მისი პროგრამა. აღზარდა თეატრმცოდნეთა, მსახიობთა და რეჟისორთა თაობები. იყო ქართული თეატრის არამარტო ისტორიის მკვლევარი და კრიტიკოსი, არამედ აგრეთვე მისი ნამდვილი მეგობარი, შემოქმედების გულმხურვალე მხარდამჭერი, მუდამ კეთილმოსურნე და მზრუნველი.

დ. ჯანელიძეს ახასიათებდა მაღალი მეცნიერული აზროვნების კულტურა, მისი ნაშრომები გამოირჩევიან კვლევის კლასიკური სიცხადითა და სიღრმით, დიდი ტაქტითა და კეთილსინდისიერებით. განსაცვიფრებელი იყო უკანასკნელი წლების მეცნიერულ კვლევა-ძიებათა ინტენსიურობა, ახალ-ახალი მიგნებებისა და აღმოჩენების სიუხვე. მან ახლებურად გაიაზრა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქები სანახაობითი ხელოვნების კუთხით და გამოაქვეყნა ნაშრომთა ციკლი. იყო დიდი ერუდიციის, ფართო მასშტაბური აზროვნების მეცნიერი, რომელმაც ქართული თეატრის ისტორიას მიუჩინა თავისი თვითმყოფადი ადგილი მსოფლიო ხალხთა თეატრების რთულ სისტემაში. მან ღრმა გააზრებითა და შემოქმედებითი შთაგონებით, საოცარი გულმოდგინებით შეისწავლა ქართული თეატრის ფორმირების მთელი ისტორიული პროცესი.

თეატრის ისტორიის ფუნდამენტური გამოკვლევებია მისი წიგნები: „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, „ქართული თეატრის ისტორია“ (სახელმძღვანელო), „სახიობა“ (რამდენიმე წიგნად), ასობით სამეცნიერო შრომა, ხოლო კრებულებსა და ენციკლოპედიებში გამოქვეყნებული სტატიები მოიცავენ ქართული თეატრის ისტორიისა და თეორიის ძირითად პრობლემებს, ამასთანავე, იგი ქართული თეატრის უკანასკნელი 60-ზე მეტი წლის ისტორიის ცოცხალი მატიანეც იყო. გახლდათ მარჯანიშვილის თანამოაზრე და მისი შემოქმედების მკვლევარი.

დიმიტრი ჯანელიძისაგან სამუდამოდ არის დავალებული ქართული თეატრი. მის ხსოვნას იგი არასოდეს არ დაივიწყებს.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს მწერალთა კავშირი; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი

ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი

და სამძიმარს უცხადებენ მის ჭირისუფლებს.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ყოფილი რედაქტორი

გივი კარბელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამხატვრო აკადემიის ღვაწლმოსილი პედაგოგი, არქიტექტურის საფუძვლების დოცენტი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

სიმონ ნაციაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტი, მისი აპარატი და პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარლამენტის წევრის გერმანე ფაცაციას მამა

გერმანე ანტონის ძე ფაცაცია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის აპარატი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აპარატის ექსპერტ-კონსულტანტი

ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა აწყობს პრესკონფერენციას ჟურნალისტებისათვის ა. წ. 20 იანვარს, 14 საათზე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სხდომათა დარბაზში (ერეკლეს მოედანი, № 3).

რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრესსამსახური.

ტურისტული ბიურო გთავაზობთ მოგზაურობას პოლონეთში ქ. ვარშავა 7 დღით, ფასი 320 ამერიკული დოლარი, გასვლა ყოველ კვირას ქ. მინსკიდან 50 კგ. ტვირთის უფასო გადატანით.

მოგზაურობისას ტურისტები მოთავსდებიან სასტუმროში, მოემსახურებათ კომფორტაბელური ავტობუსი.

მსურველებს საჭირო რაოდენობის ვალუტის კრედიტით აღება შეუძლიათ ბიუროში.

ჩვენი მისამართია: ა. ჩიქობავას ქ. № 13 (ყოფილი საბჭოს
ტელ.: 96-18-05, 96-21-09 10-დან 18 სთ-მდე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-92-26; წერილების რედაქცია 99-79-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის დაბეჭდვისას პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საწარმოო კომბინატს, თბილისი, ბოშარიძის 29,
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА